პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 68 (11981)
ოთხშაბათი, 22 მარტი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მრეწველობა და სოფელი

ჩვენი პარტიის იანვრის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა და შეიმუშავა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის კონკრეტული სამოქმედო პროგრამა.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა მრეწველობის იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც უშუალო მომსახურებას უწევენ სოფლის მეურნეობას. კერძოდ, პლენუმმა დიდი ამოცანები დაუსახა სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო, მინერალური სასუქების და საშენი მასალების საწარმოებს.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, — ნათქვამია დადგენილებაში, — უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია დიდ ღონისძიებათა განხორციელება მინერალური სასუქების, ჰერბიციდების, შხამქიმიკატებისა და სხვა ქიმიურ საშუალებათა წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის; სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის, გადიდებული სიჩქარის მქონე მძლავრი ტრაქტორების და მათი მისაბმელი იარაღების, თვითმავალი შასების, მარცვლეულის, სიმინდისა და სასილოსე კომბაინების, მარცვლეულის მოსავლის აღების შემდეგ დასამუშავებელი მანქანების, ბამბის საკრეფი მანქანების, მეცხოველეობის მოწყობილობისა და სამუშაოთა მექანიზაციის მანქანების, ორგანული სასუქების შესატანი მანქანების, ავტომანქანებისა და სატრაქტორო ურიკების, საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა, მთიან პირობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ტექნიკის წარმოებისათვის“.

იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დროულად განხორციელებისათვის და სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, მშენებლობებზე და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, ნაკისრია გადიდებული კონკრეტული ვალდებულებები. ახლა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობას, მათს კეთილშობილურ მისწრაფებას ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს, აიღონ შვიდწლედის მესამე წლისათვის დასახული კომუნისტური მშენებლობის ზღუდეები.

სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნაში დიდი როლი ეკუთვნის საქართველოს მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღ-მანქანებს აწარმოებენ.

ჩვენს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვება მინდობილი აქვს ძირითადად ოთხ საწარმოს — თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო, თბილისის 26 კომისრის სახელობის, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნებს. ამ საწარმოთა კოლექტივებმა შეძლეს მოკლე დროში შეექმნათ მეტად ძვირფასი მანქანები, რომელთა საშუალებითაც სოფლის მეურნეობაში განხორციელდა მთელი რიგი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შემსუბუქდა კოლმეურნეთა შრომა, გაიზარდა მოსავლიანობა, შემცირდა პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება.

შარშან თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა აითვისა და გამოუშვა ჩაის პლანტაციების საკულტივაციო მკვებავი მანქანა, ამ მანქანის საშუალებით ხორციელდება ჩაის ბუჩქის კულტივაცია და ამასთან ერთდროულად სასუქის შეტანა ნიადაგში. ამან მკვეთრად შეამსუბუქა მეჩაიეთა შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების დამუშავება, გაიზარდა მოსავლიანობა.

ჩაის მეურნეობაში ყველაზე შრომატევადი სამუშაო ჩაის ფოთლის კრეფაა. ვინ მოთვლის რამდენი ენერგია დაიხარჯა, რამდენი შემოქმედებითი ძალა მოხმარდა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის შექმნას. მხოლოდ ახლა, მრავალი წლის ძიებისა და შრომის შემდეგ, სხვადასხვა საკრეფი მანქანების შექმნისა და გამოცდის, მათში პრაქტიკით ნაკარნახევ გაუმჯობესებათა შეტანის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მიღწეულია ერთგვარად დამაკმაყოფილებელი შედეგი. შექმნილია ისეთი მანქანა, რომელმაც ასე თუ ისე გაამართლა თავისი დანიშნულება. ქარხნის კოლექტივს დაევალა ჩაის კრეფის სეზონისათვის გამოუშვას რამდენიმე ასეთი გაუმჯობესებული ჩაისსაკრეფი მანქანა.

შარშან ჩაისსაკრეფმა მანქანებმა წარმატებით გაიარეს გამოცდა. ამ გამოცდის დადებითი შედეგების მიხედვით მიღებულია გადაწყვეტილება, რომ წელს ორ საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთოლი მოიკრიფოს მანქანებით და მისი გადამუშავებისათვის გამოიყოს ორი ფაბრიკა.

ჩაისსაკრეფი მანქანების მასობრივად გამოშვება დიდი დახმარება იქნება მეჩაიეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც ესოდენ დიდი ვალდებულებები აქვთ ნაკისრი შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მრეწველობამ ჩაის მეურნეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საკითხი დადებითად გადაწყვიტა. მაგალითად, ნიადაგის მწკრივთა შორის დამუშავებისა, ბუჩქების გასხვლისა, სასუქების შეტანისა და სხვ.

შარშან ქუთაისში მწყობრში ჩადგა შვიდწლედის კიდევ ერთი პირმშო — მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა. ამ ახალგაზრდა საწარმოს კოლექტივმა ჩინებულად აითვისა მცირეგაბარიტიანი სახალე-საპლანტაციო ტრაქტორის „რიონის“ წარმოება და რამდენიმე ასეული ტრაქტორი მისცა სამშობლოს.

ტრაქტორმა „რიონმა“ ყველგან მოწონება დაიმსახურა. მას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში მოითხოვენ. ამ ძვირფას მანქანას შეხვდებით არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არამედ მოსკოვის, ჩელიაბინსკის და სვერდლოვსკის ოლქებშიც.

ქარხნის კოლექტივი მიმდინარე წელს ტრაქტორთან ერთად სოფლის მეურნეობისათვის გამოუშვებს საკიდ საროტაციო გუთნებს, საროტაციო და თათებიან კულტივატორებს, ორმოს სათხრელ მანქანებს, საბორბლე, საგუთნე და საკულტივატორო რედუქტორებს. აგრეთვე ნახევარ ტონა ტვირთტევადობის ტრაქტორის მისაბმელებს.

რუსთავის მეტალურგებმა მტკიცე პირობა დადეს, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისათვის შექმნიან ლითონის საჭირო დამატებით ფონდს. მეტალურგებმა დაპირება საქმედ აქციეს, გასულ ორ თვეში გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ფოლადიდან სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნებს უკვე გაუგზავნეს რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მშრომელებს მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდების გრანდიოზული ამოცანები დაუსახა. თუ გვექნება მეტი მარცვალი, ეს იმას ნიშნავს, რომ გვექნება მეტი ხორცი, რძე, რძის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი... მარცვლეულის მაღალი მოსავლის მისაღებად კი, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, საჭიროა მეტი მინერალური სასუქები.

ამიტომ არის, რომ რუსთავის მინერალური სასუქების ქარხნის საამქროებში, ცალკეულ უბნებზე გამონახეს ახალი რეზერვები ზეგეგმითი მინერალური სასუქების გამოშვებისათვის. ქარხნის კოლექტივმა იკისრა გასულ წელთან შედარებით გამოუშვას ათობით ათასი ტონა მინერალური სასუქები.

ქარხნის კოლექტივმა სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების ღირსშესანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. პირველად თავისი არსებობის ისტორიაში წარმატებით შესრულა ორი თვის გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ათასი ტონა მინერალური სასუქი.

რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებმა და მათმა ხელმძღვანელებმა უნდა გადახედონ თავიანთ შესაძლებლობებს, გამონახონ ახალი რეზერვები, რათა ჩვენშივე შევქმნათ საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის ყველა საჭირო დიდი და პატარა იარაღ-მანქანები, რომლებიც სოფლის მშრომელებს შრომას შეუმსუბუქებს და დაეხმარება წარმატებით გადაწყვიტონ საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის, სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები უთუოდ რეალურია. ახლა მთავარია ბრძოლა მათი შესრულებისათვის.

ვალდებულებათა შესრულება კი დამოკიდებულია მუშაობის ორგანიზაციაზე, იმის უნარზე, რომ არსებული შესაძლებლობანი სინამდვილედ ვაქციოთ. ეს მოითხოვს იმას, რომ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, დროზე გამოავლინონ არსებული ნაკლოვანებანი, სწრაფად დაეხმარონ ჩამორჩენილებს, ყველას შეუქმნან პირობები აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

◆

საბჭოთა თვითმფრინავები მალის რესპუბლიკისათვის

მოსკოვი, 20 მარტი. (საქდესი). სსრ კავშირისა და მალის რესპუბლიკის სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად, რომელიც დაიდო 18 მარტს მოსკოვში, საგარეო ვაჭრობის სამინისტროში ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომ საბჭოთა კავშირი მალის რესპუბლიკას მიჰყიდის „ილ-18“, „ილ-14“, „ან-2“ (სამგზავრო და სასოფლო-სამეურნეო ვარიანტები) თვითმფრინავებს, „მი-4“ ვერტმფრინავებს, აგრეთვე აეროდრომის სხვადასხვა მოწყობილობას.

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი

ალმა-ატა, 21 მარტი. (საქდესი). ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, დღეს დილიდან განაგრძობს მუშაობას. თათბირი განიხილავს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებათა საკითხს.

კამათის მონაწილე მემინდვრეები და მეცხოველეები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება პურის, ხორცის, რძის, მატყლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ისინი კრიტიკულად ააშკარავებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებებს, აღნიშნავენ, რომ კიდევ ბევრია გამოუყენებელი შესაძლებლობა მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

დილის სხდომაზე დღეს გამოვიდნენ ა. ლ. ნახმანოვიჩი — ჯამბულის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვ. ი. მაკაროვი — პარტიის სამხრეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, მ. გ. ხვანი — უზბეკეთიდან ჩამოსული სტუმარი, ტაშკენტის ოლქის კოლმეურნეობა „პოლიტგანყოფილების“ თავმჯდომარე, კ. ა. ეგიზბაევი — ყაზახეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ი. კოვალენკო — ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ა. ი. ნეკლიუდოვი — პარტიის აღმოსავლეთ-ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, ვ. პ. ჩერნოგოლოვინი — ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნ. ი. ჩეკანოვა — ალტაის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელი მეურნეობის აგრონომი, ა. ა. ბაიბურთციანი — ერევნის ზოოვეტინსტიტუტის დოცენტი.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა გადასცა საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგურმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა ყაზახეთის ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ყველა მშრომელისადმი.

ერთხმად მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დახურა რა თათბირი, ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ა. კუნაევმა განაცხადა, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მინისტრთა საბჭომ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს ააგონ ყაზახეთში მონუმენტი, რომელიც წარმოსახავს ამ საყოველთაო სახალხო საქმის სიდიადეს.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მინისტრთა საბჭომ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, რომ დაწესდეს რესპუბლიკური ოქროს წიგნი, რომელშიც შეიტანენ ყამირი და ნასვენი მიწების დამმორჩილებელთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნოვატორთა სახელებს, იმ ადამიანთა სახელებს, რომლებიც პრაქტიკული საქმით განადიდებენ ჩვენს საბჭოთა სამშობლოს. გადაწყვეტილია ამ ოქროს წიგნში პირველი ჩაიწეროს ყამირის ათვისების მთავარი ორგანიზატორის — ნ. ს. ხრუშჩოვის სახელი.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, — თქვა შემდეგ ამხ. კუნაევმა. — მიიღო ბრძანებულება ნ. ს. ხრუშჩოვის მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ დაჯილდოების შესახებ. ტაშის გრიალში ამხ. კუნაევმა გადასცა ჯილდო ნ. ს. ხრუშჩოვს. ყაზახი ხალხის სახელით მან ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა მას სამშობლოს, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი დიდი მადლობა გამოთქვა მისი მედლით დაჯილდოების გამო. დარბაზში გაისმა ერთსულოვანი მქუხარე ტაში.

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა დაამთავრა მუშაობა.

* * *

საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა ძალებით თათბირის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი.

კონცერტს დაესწრო ნ. ს. ხრუშჩოვი.

ცელინოგრადი—ყამირის მხარის დედაქალაქი

...

თბილისი—ცელინოგრადი

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ცელინოგრადს. ყურმილი აიღო პარტიის ცელინოგრადის საქალაქო კომიტეტის თანამშრომელმა **ვ. კ. შოშნიაკოვმა**. მივულოცეთ მას აკმოლინსკისათვის ცელინოგრადის დარქმევა.

— დიდად გმადლობთ, ქართველო ამხანაგებო, — გვიპასუხა ვ. შოშნიაკოვმა. — ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას აკმოლინსკისათვის ცელინოგრადის დარქმევის შესახებ მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ისინი აღფრთოვანებულ მადლობას უხდიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს ქალაქისათვის ნამდვილად შესაფერისი სახელის დარქმევისათვის. ცელინოგრადი გადაიქცა ყამირის მხარის „დედაქალაქად“. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ დიდი პერსპექტივები გადაუშალა ცელინოგრადს, იგი უკანასკნელ ოთხ წელიწადში გაიზარდა და დამშვენდა.

თქვენთვის, საქართველოს მშრომელებისათვის, უთუოდ სასიხარულო იქნება შეგატყობინოთ, რომ ცელინოგრადის ყოველდღიურ მაჯისცემაში საკუთარი წვლილი შეაქვს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს **ვასილ მიხეილისძე მანსვეტაშვილს**, რომელიც 17 წელია თავისი ენერგიული შრომით ფხიზლად დგას მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, ხოლო რაც შეეხება მის მეუღლეს, ქართველ ექიმ ქალს, იგი ქირურგად მუშაობს ქალაქის საავადმყოფოში და საუკეთესო დოსტაქრად ითვლება.

სურათზე: ყოფილი აკმოლინსკი — ამჟამად ცელინოგრადი.

კულტურის უნივერსიტეტების ხელმძღვანელობისათვის

უკანასკნელ დროს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, აგრეთვე მთელ რიგ დიდ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შეიქმნა 80-ზე მეტი კულტურის უნივერსიტეტი, რომლებშიც დადის 5.000-ზე მეტი კაცი.

კულტურის უნივერსიტეტები ყოველმხრივ ხელს უწყობენ ხალხის ფართო მასების კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას, მათ იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

კულტურის უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის ერთიანი ცენტრის შექმნის მიზნით ამას წინათ დაარსდა რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭო 25 კაცის შემადგენლობით. საბჭოში შედიან: ი. დოლიძე (თავმჯდომარე), ე. ხარაძე, დ. ჩხიკვიშვილი, თ. ბადურაშვილი, ა. კალანდარიშვილი, ი. ჩოჩია, უ. ჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, ბ. ჟღენტი, ი. თავაძე, ა. ხორავა, დ. ენუქიძე, ვ. მერკვილაძე, ა. გულისაშვილი, ი. ბუაჩიძე, ს. დოლიძე, ა. შანიძე, ა. ძამაშვილი, გ. ჩადუნელი, ნ. გოგატაძე, გ. დუჩიძე, მ. საბაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, გ. ბელიაევი. (საქდესი).

კინოს მუშაკთა აქტივის კრება

მოსკოვი, 20 მარტი. (საქდესი). დღეს აქ დაიწყო კინოხელოვნების მოღვაწეთა აქტივის კრება, რომელიც მოიწვიეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა.

თათბირში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრები, მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სტუდიების დირექტორები, რეჟისორები, ოპერატორები, სცენარისტები, მსახიობები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა მ. რომმა, გ. ალექსანდროვმა, ს. დოლიძემ, უკრაინის კულტურის მინისტრმა რ. ბაბიჩუკმა, „მოსფილმის“ სტუდიის დირექტორმა ვ. სურინმა, კინოკრიტიკოსმა ნ. კლადომ და სხვებმა.

მოსკოვის დიდი ირგვლივი რკინიგზა

მოსკოვი, 20 მარტი. (საქდესი). გზათა სამინისტრომ დაამტკიცა მოსკოვის დიდი ირგვლივი რკინიგზის რეკონსტრუქციის პროექტი. ეს ფოლადის მაგისტრალი, რომლის სიგრძე 500 კილომეტრს აღემატება, ააშენეს დიდი სამამულო ომის წლებში.

ამჟამად დაიწყეს ამ დიდმნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალის პირველი რიგის — დასავლეთის ნახევარრკალის გადაკეთება. მთელ ხაზზე მოეწყობა ავტომატური ბლოკირება და ისრების ელექტროცენტრალიზაცია. მატარებლების მოძრაობა განხორციელდება თბომავლის წევით. ძველი მსუბუქი ტიპის რელსების ნაცვლად დაგებული იქნება ახალი, უფრო მძიმე რელსები. რკინიგზის ლიანდაგებზე ავტოსტრადების თავზე, მდინარეებზე მშენებლები ააგებენ ათობით ხიდს, ორი-სამი წლის შემდეგ, როცა ნახევარრკალის რეკონსტრუქცია დამთავრდება, მატარებლები შეძლებენ განავითარონ აქ დიდი სიჩქარეები.

დიდი რკალის რეკონსტრუქციის შემდეგ მოსკოვის რკინიგზა გახდება სატრანზიტო მაგისტრალი, რაც შესაძლებლობას შექმნის განიტვირთოს მოსკოვის რკინიგზის კვანძი, აგრეთვე მცირე ირგვლივი რკინიგზა.

ამბები, ცნობები, ფაქტები

სკკპ XXII და საქართველოს კპ XXI ყრილობების შესახვედრად

იზრდება ჩარხების გამოშვება

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა იმ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ფაქტიურად შვიდწლედში დაიბადნენ. ამ ქარხანას მომავალი წინ აქვს. შვიდწლედის ბოლოსათვის ჩარხების გამოშვება რამდენჯერმე უნდა გაიზარდოს, ათვისებული იქნება მრავალი ახალი სახის სპეციალური სახეხი ჩარხების გამოშვება.

უკვე მიმდინარე წლის პირველ თვეებში ქარხანაში ბევრი რამ ახალი გაკეთდა. მაგალითად, უკვე მზად არის სპეციალური სახეხი ჩარხი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაკვეთით შეიქმნა. ამჟამად ჩარხმშენებლები მეორე ასეთ ჩარხს აკეთებენ.

ჩაებნენ რა სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩარხმშენებლები ყოველდღიურად ზრდიან შრომის ტემპს, პროდუქციის გამოშვებას. მაგალითად, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იანვარ-თებერვალში ჩარხების გამოშვება დაახლოებით 25 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებით კარგ წარმატებებს აღწევს ჩარხმშენებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც უ. გურგენიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები ყოველდღიურ დავალებებს 130-150 პროცენტით ასრულებენ, საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან,

პირველი „პროდუქცია“

მახარაძე. (საქ. კორ.). თითქმის ორი წლის მანძილზე შენდებოდა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმა. მშენებლობა დამთავრდა, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული შენობები საექსპლოატაციოდ გადაეცა. ამ დღეებში ფერმის საინკუბაციო საამქროში მიღებულია პირველი საუკეთესო „პროდუქცია“ — გამოიჩეკა 5.000-ზე მეტი წიწილა, რომლებსაც ფერმის მუშაკები დიდი მზრუნველობით უვლიან.

ფერმის მუშაკები პირობას იძლევიან, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე გაზრდიან სულ ცოტა 60.000 ფრთა ფრინველს, თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღებენ 120 ცალ კვერცხს.

მოდის ზესტაფონური კაბელი

ზესტაფონი. (საქ. კორ.). წარმატებით მუშაობს „საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზესტაფონელმა მეკაბელეებმა ხუთი დღით ადრე — 23 თებერვალს შეასრულეს იანვარ-თებერვლის დავალება, ვადამდე უპატაკებენ ისინი 3 თვის გეგმის შესრულებასაც.

მამაცური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებენ ახალგაზრდები თ. კახელი, თ. ბუხნიკაშვილი, ზ. ჰუმბურიძე, რ. მარაქველიძე, ლ. ალავიძე და სხვები, რომლებიც ქარხანაში საშუალო სკოლის ატესტატით მოვიდნენ. ისინი საუცხოოდ დაეუფლნენ ქართველი ახალგაზრდობისათვის სრულიად ახალ პროფესიებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

მესიმინდეთა სკოლები

თერჯოლა. (საქ. კორ.). რაიონში დაიწყო ლაშქრობა სიმინდის მაღალი მოსავლისათვის. საგაზაფხულო თესვის წინა დღეებში რაიონის 21 კოლმეურნეობაში შეიქმნა მესიმინდეთა სკოლები, რომლებსაც გამოცდილი აგრონომები ხელმძღვანელობენ. მესიმინდე კოლმეურნეები აქ ეცნობიან სიმინდისათვის ნიადაგის მომზადებისა და თესვის პროგრესულ წესებს, ნიადაგში სასუქების შეტანის დროსა და დოზებს, სარწყავი სისტემის გონივრულად გამოყენებას და სხვ.

მესიმინდეთა სკოლებში კოლმეურნეებს თავიანთ გამოცდილებაზე ესაუბრებიან სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები — ყუბანეიშვილი, ბარდაველიძე, ბუაძე, გვენცაძე, დოლონაძე და სხვები.

მესიმინდეთა სკოლები წარმატებით მეცადინეობენ ზედა საზანოს 26 კომისრის სახელობის, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, თუზის აკ. წერეთლის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

თერჯოლელი მესიმინდეები პირობას იძლევიან წელს მიიღონ სიმინდის უხვი მოსავალი და ახალი წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

ახალი წიგნი

„მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის პროგრამული დოკუმენტები“

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე გამოუშვა წიგნი „მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის პროგრამული დოკუმენტები“, წიგნში დაბეჭდილია დოკუმენტები კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებისა, რომლებიც გაიმართა მოსკოვში 1957 წლის ნოემბერში, ბუქარესტში — 1960 წლის ივნისში და მოსკოვში — 1960 წლის ნოემბერში.

წიგნი გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

სიკვდილით მოვაჭრენი

ლონდონი, 21 მარტი. (საქდესი). ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ წარმატებით გაუწიოს კონკურენცია ამერიკის შეერთებულ შტატებს ნატოში თავისი პარტნიორებისათვის, განსაკუთრებით კი დასავლეთ გერმანიისათვის იარაღის მიყიდვის საქმეში.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მიმომხილველი იუწყება, რომ ინგლისის მართულ ყუმბარას „ბლიუ უოტერს“ პირველად საჯაროდ უჩვენებენ პარიზის იარაღის გამოფენაზე, რომელიც 26 მაისს გაიხსნება. ინგლისი იმედოვნებს, რომ ნატოს ჯარები მიიღებენ ამ ყუმბარას შესაიარაღებლად, ამჯობინებენ რა მას ამერიკის „სარჯენტის“ რაკეტას.

„ბლიუ უოტერის“ ყუმბარის პარიზის დებიუტი, — აღნიშნავს მიმომხილველი, — იქნება ამ ყუმბარის გაყიდვის კამპანიის დასაწყისი, მიუხედავად ამერიკის სერიოზული წინააღმდეგობისა“.

ტერორი სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 21 მარტი, (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამიდან მოდის ახალი ფაქტები სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ.

მიმდინარე წლის დამდეგიდან დონგ სუანისა და სონ ხოას მაზრებში (ცენტრალური ვიეტნამი) „გაწმენდის“ ოპერაციების მსვლელობაში ნგო დინ დიემის ხროვამ 68 გლეხი მოკლა. თებერვალში ნგო დინ დიემის ბანდიტებმა ტუი ხოას საპყრობილეში დახვრიტეს 100 პატიმარი. ქალაქის მოსახლეობისა და პატიმართა დასაშინებლად მათ თავი მოჰკვეთეს ერთ-ერთ პატრიოტს და დაჰქონდათ იგი საჩვენებლად ქალაქის ქუჩებსა და საპყრობილის საკნებში.

ინგლისის მთავრობა ხელს უწყობს რასისტებს

ლონდონი, 21 მარტი. (საქდესი). ლონდონში გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება მაკმილანისა და როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ველენსკის მოლაპარაკების შესახებ ჩრდილოეთ როდეზიის კონსტიტუციის საკითხზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ „შეერთებული სამეფოს მთავრობამ დაადასტურა, რომ მზად არის განიხილოს ყოველი წინადადება, რომლებიც შეიძლება წამოაყენონ ჩრდილოეთ როდეზიის პოლიტიკურმა ჯგუფებმა, აგრეთვე „ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ იმ მოსაზრებებს, რომლებიც ფედერალურმა მთავრობამ წარუდგინა შეერთებული სამეფოს მთავრობას“.

გუშინ ველენსკი ორჯერ შეხვდა მაკმილანს. თავის მხრივ, მაკმილანი მოეთათბირა კოლონიათა მინისტრს მაკლეოდსა და ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრს სენდისს. საღამოს ჩრდილოეთ როდეზიის საკითხი განიხილეს კაბინეტის სხდომაზე. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში გამოთქვამენ აზრს, რომ ინგლისის მთავრობამ კვლავ დაუთმო ველენსკის რასისტულ მთავრობას, რომელიც გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ მიანიჭონ აფრიკელებს უმრავლესობა საკანონმდებლო კრებაში და სხვა პოლიტიკური უფლებები.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 14 მარტს

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 66, 67.

მეტი ვიზრუნოთ ყამირის მშრომელებისათვის, მათი ყოფა-ცხოვრებისა და კულტურული მომსახურებისათვის

ამხანაგებო! ნამდვილი, გულმოდგინე მეურნეები ყამირზე უნარიანად უხამებენ ერთმანეთს მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის ზრუნვას და ადამიანებისათვის, საბჭოთა მეურნეობების, დაბების კეთილმოწყობისათვის ზრუნვას. კარგ, მოწინავე საბჭოთა მეურნეობებში უკვე აშენებულია ბევრი საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და კულტურული დაწესებულებანი.

აკმოლინსკის ოლქის ესილის რაიონში, მაგალითად, 1954 წელს დაარსდა საბჭოთა მეურნეობა „სვობოდნი“. ახლა საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ ეზოში და განყოფილებებში აშენებულია 175 საცხოვრებელი სახლი. საბჭოთა მეურნეობაში არის კლუბი, ბიბლიოთეკა, სასადილო, საბავშვო ბაღი და ბაგა, საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით, ამბულატორია, სკოლა. დიდი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა უნარიანად იყო შეხამებული საწარმოო ნაგებობათა აშენებასთან. საბჭოთა მეურნეობაში არის დიდი მექანიკური სახელოსნო, ხისდამმუშავებელი საამქრო, ვალცებიანი წისქვილი და სხვა საწარმოო ნაგებობანი.

საბჭოთა მეურნეობაში 1335 კაცი ცხოვრობს. საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციის დაწყებიდან აქ 142 ქორწილი გადაიხადეს. ახალმოსახლეთ 350 ბავშვი შეეძინათ. 1955 წელს საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ 9 მოსწავლე იყო, ახლა კი სკოლაში 259 ბავშვი სწავლობს.

ან მეორე მაგალითი. ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქში კარგად მოეწყო — დამკვიდრდა მიწაზე საბჭოთა მეურნეობა „ლენინსკი“. საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ ეზოსა და განყოფილებებში 300-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი აშენდა. საბჭოთა მეურნეობაში არის საბავშვო ბაღი და ბაგა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლა, დიდი სასადილო, საავადმყოფო, ორი მაღაზია, პურსაცხობი, აბანო. ამ საბჭოთა მეურნეობაში თითქმის 4500 მცხოვრებია. საბჭოთა მეურნეობის დაბაში ბევრია ტელევიზორი. ყოველ სახლში რადიომიმღებია.

ადამიანებისათვის ზრუნვის მაგალითია პავლოდარის ოლქის მაქსიმ გორკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ბობროვსკი“, სადაც დირექტორად მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი ტ. ი. რახმანინი, ხოლო პარტიული ორგანიზაციის მდივნად — მ. ვ. მიხაილოვი. საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ ეზოში აშენებულია კარგი კლუბი. კლუბთან მუდმივად მუშაობს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი. საბჭოთა მეურნეობას აქვს კარგი საავადმყოფო, აბანო ცენტრალური გათბობით, პურსაცხობი და სასადილო, რვაწლიანი სკოლა.

ასეთი საბჭოთა მეურნეობა თქვენს მხარეში ჯერჯერობით ბევრი არ არის. მაგრამ მე ვიტყოდი, რომ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხები არამც და არამც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

ყამირის მხარეში ყოფნის დროს ბევრი წერილი მივიღე, სადაც საბინაო მშენებლობის საკითხებს მწვავედ და სამართლიანად აყენებენ. საჭიროა, პარტიის სამხარეო კომიტეტმა და სამხარეო აღმასკომმა, აგრეთვე ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შეიმუშაონ პროგრამა, რათა რაც შეიძლება მალე გადაეცეს საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლები ყამირზე.

მშენებლობის საკითხებს თქვენს მხარეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე თქვენი მხარის ქალაქებსა და მუშათა დაბებში და საბჭოთა მეურნეობების დაბებში აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 10 მილიონ 900 ათასი კვადრატული მეტრია, ანუ 300 ათას ბინაზე მეტი. კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 79 ათასი საცხოვრებელი სახლი. შვიდწლედის ორ წელიწადში მხარეში აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობია 4 მილიონ 600 ათასი კვადრატული მეტრი, ანუ 130 ათასამდე ბინა. მაგრამ საბინაო მშენებლობის ეს მაღალი ტემპებიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

ყოველ საბჭოთა მეურნეობაში უნდა გვქონდეს კეთილმოწყობილი ბინები ტრაქტორისტების, კომბაინერების და სხვა ძირითად პროფესიათა სპეციალისტებისათვის. მახსოვს, როცა ჯერ კიდევ ძველ დროს ზეინკლად ვმუშაობდი მაღაროში, როგორც ზეინკალს მაძლევდნენ მარტოხელას ბინას, თუმცა ბინის საკითხი იქ ძალიან მწვავე იყო. მაღაროს კვალიფიციური ზეინკალი ესაჭიროებოდა და ამიტომ მას ბინას აძლევდნენ.

საბჭოთა მეურნეობა იოლად ვერ წავა, თუ არ ეყოლება ინჟინერი, აგრონომი, გამოცდილი ტრაქტორისტები და კომბაინერები, აგრეთვე თუ არ ეყოლება ექიმი, მასწავლებელი. ამიტომ დირექციას ბინების რაღაც რეზერვი უნდა ჰქონდეს. წამყვანი პროფესიების მუშაკები უზრუნველყოფილი უნდა იყონ ბინებით. მიდის სპეციალისტი სამუშაოდან — ათავისუფლებს ბინას სხვა სპეციალისტისათვის, რომელიც მის თანამდებობას დაიკავებს.

მინდა, ამხანაგებო, ასეთი საკითხიც აღვძრა თქვენს წინაშე. ყველა თქვენგანს ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგად მოწყობილ საზოგადოებრივ კვებას საბჭოთა მეურნეობებში. უნდა მივაღწიოთ, რომ ყამირის ყოველ საბჭოთა მეურნეობაში იყოს კარგი სასადილო, რომელშიც მუშას შეეძლება ისადილოს თავის ოჯახთან ერთად ან შინ წაიღოს სადილი.

რატომ ვლაპარაკობ სწორედ ყამირის საბჭოთა მეურნეობებზე? იმიტომ, რომ ყამირის საბჭოთა მეურნეობები ტრიალ მინდორში შეიქმნა. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები შეიქმნას მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც ყამირი გატეხეს და თავდადებით შრომობენ დღეს.

იაფი კვება წაახალისებს მეყამირეებს, იგი ამასთანავე სხვა მუშა-მოსამსახურეებს მიიზიდავს ყამირის რაიონებში. სასადილოები ახლაც არის საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან ბევრ მეურნეობაში კარგი სასადილოა, მაგრამ კვება იქ ჯერ კიდევ მოიძვირებს. ეტყობა, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ყამირის საბჭოთა მეურნეობების სასადილოებს თვითღირებულებით ეძლეოდეთ პროდუქტები **(ტაში)**. მაშინ სადილები სასადილოებში გაცილებით უფრო იაფი იქნება.

იაფი ბოსტნეული რომ გვქონდეს, ამისათვის უნდა შევქმნათ საბჭოთა მეურნეობის ბოსტანი, მოვაწყოთ მებოსტნეობის ბრიგადები, მოვახდინოთ ბოსტნეულის თესვის, დამუშავებისა და აღების მექანიზაცია. მაშინ კილოგრამი ბოსტნეული კაპიკი — კაპიკნახევარი ეღირება. ბოსტნეულის ასეთი თვითღირებულება უკვე მიღწეულია მთელ რიგ სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში.

ამრიგად, პური, რძე, ბოსტნეული და კარტოფილი იაფი იქნება. ხორცი ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ ძვირია. კვების ახალი წესი შექმნის სტიმულს უფრო იაფი ხორცის წარმოებისათვის. მუშები გადიდებულ მოთხოვნებს წაუყენებენ თავიანთ თავსაც, დირექტორსაც, სპეციალისტებსაც, ეცდებიან შეამცირონ ხორცის წარმოების დანახარჯები, რათა სადილისათვის ხორცი იაფი იყოს.

ყოველივე ეს დიდად წაახალისებს მუშა-მოსამსახურეებს მარცვლეულის, ხორცის, რძის, ბოსტნეულის წარმოების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში. და რაც უფრო იაფი იქნება პროდუქტები, რომლებსაც ყამირის საბჭოთა მეურნეობების მუშები აწარმოებენ, მით უფრო მცირე იქნება სადილის, საუზმისა და ვახშმის ფასი სასადილოებში. როგორც უკვე ვთქვი, სასადილოში კვება ხელსაყრელი იქნება არა მარტო თვითონ მუშისათვის, არამედ მისი ოჯახისათვის. მაშინ ჩვენ შევქმნით პირობებს, რომ საზოგადოებრივ შრომაში ჩავაბათ მეტი ქალი, რომელიც ახლა ოჯახში მუშაობს.

ამ თათბირის შემდეგ საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები უნდა შეიკრიბონ და განიხილონ, თუ უკეთ როგორ მოაწყონ საზოგადოებრივი კვება საბჭოთა მეურნეობებში.

ბევრ წერილში აღძრულია სავსებით სამართლიანი საკითხი, რომ საბჭოთა მეურნეობებში, რაიონულ ცენტრებშიც კი, ცოტაა მედიცინის მუშაკი. აი, მაგალითად, რას მწერს ქალთა ჯგუფი აქტიუბინსკის ოლქის კარაბუტაკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „იაროსლავსკიდან“: „მოგმართავთ დიდი თხოვნით: ჩვენთან ძალიან მძიმე მდგომარეობაა მედიცინის მუშაკთა მხრივ. გთხოვთ მიმართოთ სპეციალისტ ექიმებს ჩვენი სახელით: ჩამოვიდნენ ჩვენში, აქ დიდი სარბიელია მათი კეთილშობილური მუშაობისათვის, ნუ აშინებთ სიძნელეები, მუშაობისათვის პირობები უზრუნველყოფილია, გვაქვს მშვენიერი საავადმყოფო რენტგენის კაბინეტით, ექიმები კი არა გვყავს.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვთხოვთ კომუნისტებს — დაგვეხმარეთ, როგორც ყოველთვის, ახლაც პირველნი გამოეხმაურეთ ყამირის მცხოვრებთა თხოვნას“.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და განათლების სამინისტროებმა ყამირი მიწების რაიონებში უნდა გაგზავნონ მეტი ექიმი, მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა კი უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სამუშაოდ ჩასულ სპეციალისტებს შეუქმნან ნორმალური მუშაობისა და ცხოვრებისათვის საჭირო პირობები.

ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია პარტიის მოწოდებით მიდის იქ, სადაც საჭიროა, რათა ემსახუროს ხალხს. მთავარია ზრუნვა იმისათვის, რომ ადამიანებს შეეძლოთ იცხოვრონ ნორმალურ პირობებში და რომ მხარემ გაითქვას სახელი: აქ ადამიანები შესანიშნავად შრომობენ და ცხოვრობენო. მაშინ კიდევ მეტი სპეციალისტი წავა ყამირის მხარეში.

მინდა განსაკუთრებით ვილაპარაკო ყამირის მხარეში განათლების საკითხებზე. მე უკვე ვილაპარაკე, რა ბევრი ბავშვი იბადება ყამირი მიწების რაიონებში. ეს ძალიან სასიხარულო მოვლენაა. ამიტომ საჭიროა აქ ვაშენოთ იმდენი სკოლა და ინტერნატი, რომ ყველა ბავშვმა ისწავლოს. მაგრამ სკოლის აშენება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. უმასწავლებლოდ ცარიელ კლასში ვერავინ ვერაფერს ვერ ისწავლის.

ყამირის რაიონები პედაგოგთა კადრების ისეთ ნაკლებობას განიცდიან, როგორც ექიმთა მხრივ. ამავე დროს ჩვენში ისევე ბევრ კარგ პედაგოგს ვამზადებთ, როგორც ექიმებს. საჭიროა განათლების სამინისტროებმა ისე გაიანგარიშონ მასწავლებელთა კადრების მომზადება და განაწილება, რომ ყოველ სკოლას ჰყავდეს კვალიფიციური მასწავლებლები.

ამხანაგებო! ბავშვების სწავლის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული მომსახურების საკითხები დიდმნიშვნელოვანი საკითხებია ყამირის მხარის შემდგომი განვითარებისათვის. იმ სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებსაც ეს არ ესმით, საკმაო რაოდენობით არ ქმნიან აქ საავადმყოფოებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო ბაგებსა და საბავშვო ბაღებს, კლუბებს, სამკერვალო და სარემონტო სახელოსნოებს, ავიწყდებათ მთავარი, ადამიანი, ეს კი საბოლოო ანგარიშით გავლენას ახდენს წარმოებაზე.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. ყამირის რაიონები დღემდე განიცდიან მუდმივი კადრების გარკვეულ ნაკლებობას. ამავე დროს კუსტანაის ოლქის სოფლებში ცხოვრობს 150 ათასამდე ქალი 18-55 წლის ასაკისა. ბევრი მათგანი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის წარმოებაში არ მონაწილეობს მხოლოდ იმიტომ, რომ შესაძლებლობა არა აქვთ მიაბარონ ბავშვები საბავშვო ბაღში ან ბაგაში. ორჯონიკიძის რაიონში 9 ათასი შრომისუნარიან ქალიდან ხუთი ათასზე მეტი ვერ მუშაობს წარმოებაში სასკოლო დაწესებულებათა უქონლობის გამო. ამავე დროს რაიონი იძულებულია მუშახელი სხვა ადგილებიდან მიიყვანოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად.

შეგვიძლია თუ არა, ამხანაგებო, სწრაფად გადავჭრათ ყამირის მხარის დღევანდელი განვითარებით დასმული საყოფაცხოვრებო და კულტურული საკითხები? უთუოდ შეგვიძლია. ბევრი რამ უკვე გაკეთდა. მედიცინის, განათლების, კულტურის, საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშაკთა მაღალი მოვალეობაა დაეხმარონ ყამირის მხარეს.

თავიანთი მხრივ პარტიის სამხარეო კომიტეტი, სამხარეო აღმასკომი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მოვალენი არიან განუხრელად, ყოველდღიურად, დიდი ადამიანური დაინტერესებულობით იზრუნონ ყამირის მხარის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, წესრიგისაკენ მოუწოდონ ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებსაც ყოფაცხოვრება მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. **(ტაში).**

ამხანაგებო! ამ ტრიბუნიდან მინდა მივმართო კომკავშირს. ჩვენ არაერთხელ მიგვიმართავს კომკავშირელებისათვის კომუნისტური მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, და პარტიის მოწოდება ყოველთვის პოულობდა მხურვალე მხარდაჭერას. კომკავშირმა უნდა გასწიოს მუშაობა ახალგაზრდობაში, სამედიცინო და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებში, მოუწოდოს მათ წავიდნენ ყამირზე, კულტურულ ფრონტზე, რათა ხელიხელჩაკიდებულმა იმუშაონ იმათთან, ვინც ქმნის მატერიალურ ფასეულობას, იზრუნონ მათი ჯანმრთელობისათვის, ასწავლონ მათ ბავშვებს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ მოწოდებას გამოეხმაურება ათასობით ადამიანი, რომლებსაც პრაქტიკულად სურთ აშენონ კომუნიზმი. **(ტაში).**

თქვენ ყველა შესაძლებლობა გაქვთ თქვენი მხარე მაღალი კულტურის მხარედ გადააქციოთ. რატომ არ უნდა დარაზმოთ ახალგაზრდობა ჯანსაღი და კულტურული ყოფაცხოვრებისათვის საბრძოლველად. პარტია არ იშურებს არც სახსრებს, არც ძალებს, იგი ითვალისწინებს უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებს, ტექნიკას, საშენ მასალებს იმისათვის, რომ ყამირზე კარგი ცხოვრების ყველა საჭირო პირობა შექმნას. მაგრამ ბევრი რამ ხომ საკუთარი ძალებით შეგიძლიათ გააკეთოთ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს კომკავშირი და მას მხარს დაუჭერს მთელი მოსახლეობა, წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც ადამიანი შრომითი დღის შემდეგ კულტურულად დაისვენებს, ნახავს ახალ კინოსურათს კლუბში, მოისმენს კონცერტს, მხატვრული თვითმოქმედების გამოსვლებს, გაერთობა სპორტით. დროა ჯეროვნად მოვკიდოთ ხელი ყამირზე კულტურისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, გაუმჯობესებას — ამ სიტყვის უაღრესად ფართო მნიშვნელობით: ეს არის ყოველმხრივ მოწყობილი მრავალბინიანი სახლების, კარგი სასადილოებისა და კლუბების მშენებლობაც, სისუფთავეც ქუჩებში, ყვავილნარებიც ყველა სახლთან. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ ისეთი სამარცხვინო მოვლენები, როგორიც არის ლოთობა და ხულიგნობა.

მინდა ვუსურვო ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შექმნან მეტი კარგი წიგნები, კინოფილმები, პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები ყამირის მშრომელების — ჩვენი დროის შესანიშნავი გმირების შესახებ, რომლებიც თავდადებით შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში უფრო სრულად და მკაფიოდ უნდა აისახოს ყამირი მიწების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრება, ჩვენი ქვეყნის ახალი რაიონების სიმდიდრეთა ათვისება.

პავლოდარის ოლქის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ი. დ. ნაზარენკომ თავის გამოსვლაში აღძრა საკითხი, რომ საჭიროა ველის რაიონებში შენდებოდეს რკინიგზები, აგრეთვე მაგარსაფარიანი გზატკეცილები. ეს საკითხის სწორი დაყენებაა. ჩვენ დიდ თანხებს გამოვყოფთ საგზაო მშენებლობისათვის და ვაშენებთ ბევრ გზას. მაგრამ ჩვენი ქვეყანა იმდენად ვრცელია, რომ, ალბათ, გზების მშენებლობის პროცესი მრავალი წლით გაგრძელდება. ამოცანად რომ დავისახოთ და ყველგან დაუყოვნებლივ ვაშენოთ მაგარსაფარიანი გზები, ეს მოითხოვს ბევრ კაპიტალდაბანდებას, რაც ახლა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ხმარდება. ამ გზას ახლა ვერ დავადგებით.

ამიტომ უნდა გამოვიჩინოთ ზრუნვა იმისათვის, რომ კარგ მდგომარეობაში ვიქონიოთ გრუნტის გზები, მით უმეტეს, რომ თქვენში ნალექები ნაკლები იცის. თუ ყაზახეთის ველებს სამხრეთ უკრაინას შევადარებთ, დავინახავთ, რომ სამხრეთ უკრაინაში ნალექები იმდენივეა, რამდენიც თქვენში, შეიძლება რამდენადმე მეტიც. მაგრამ მახსოვს, რომ იქ ბევრ რაიონს კარგ მდგომარეობაში ჰქონდა გრუნტის გრეიდერული გზები და შოფრებს ამ გზებზე მანქანები საათში 100 კილომეტრი სიჩქარით დაჰყავდათ. თუ წვიმა მოვიდოდა, გზებს შეკრავდნენ და ტრანსპორტს აღარ უშვებდნენ, სანამ გზა არ გაშრებოდა. მანქანები გზის პირს მიჰყვებოდნენ. ველში კი ზაფხულობით გზა მალე შრება. ისე რომ გზის მდგომარეობა დამოკიდებულია საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებზე. უწინარეს ყოვლისა ისინი უნდა ზრუნავდნენ გზებისათვის.

თქვენ შეგიძლიათ კარგი გრეიდერული გზები გქონდეთ. შესაძლოა საჭირო იყოს შემუშავდეს დადგენილება ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და ყამირის მხარეში საგზაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ, მივცეთ გზების მოსავლელი საჭირო ტექნიკა — ტრაქტორები, ბულდოზერები, გრეიდერები. როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნება გარკვეული დროისათვის საჭირო რაოდენობით გამოვყოთ ტრაქტორები სათანადო მოწყობილობით, გამოვყოთ ტრაქტორისტები, რომლებიც პასუხს აგებენ იმისათვის, რომ გრუნტის გრეიდერული გზები კარგ მდგომარეობაში იყოს. დანახარჯები საგზაო სამუშაოებისათვის ანაზღაურდება იმით, რომ გაუმჯობესდება საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაცია და დაჩქარდება და გაიაფდება ტვირთზიდვა.

ვიმეორებ, ამხანაგებო, რომ საჭიროა გზები ვაშენოთ. ყველამ იცის, რომ მოკირწყლული გზა სჯობს მოუკირწყლავს, ხოლო კიდევ უკეთესია რკინაბეტონის გზები. მაგრამ იბადება კითხვა, რა ვაშენოთ პირველ რიგში: გზები თუ საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები და სასადილოები? ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ უწინარეს ყოვლისა მაინც საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები უნდა ვაშენოთ. არა უშავს რა ცოტა ნჯღრევას ცუდ გზაზე, მაგრამ უფრო ცუდი იქნება, — თუ საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს არ ექნებათ ბინები, სკოლები, საავადმყოფოები.

როცა სახსრები საშუალებას მოგვცემს, ავაშენებთ რკინაბეტონის გზებს და ვივლით ამ გზებზე 100-150 კილომეტრი სიჩქარით, მაგრამ გვადროვეთ, ყველაფერი ერთბაშად ხომ არ იქნება, თორემ შეიძლება ასეთი სწრაფი სვლის ტექნიკა ვერ აითვისოთ და დაშავდეთ. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ამხანაგებო! პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანები დგას მასებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. პარტიის საოლქო კომიტეტები და რაიკომები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ პარტიულ მუშაობას. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია კარგად მუშაობს, ყოველთვის არის წარმატება წარმოების განვითარებაში, პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში.

საჭიროა, რომ ყველა რანგის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ხელმძღვანელები დაინტერესებული იყონ, თუ როგორ მიმდინარეობს ცხოვრება საბჭოთა მეურნეობაში, ზრუნავდნენ მეყამირეთა პოლიტიკური და კულტურული ჰორიზონტისათვის. შეუწყნარებელია გულგრილი დამოკიდებულება ყამირის მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების მოწყობისადმი. მივარდნილ ველში, რომელიც საცხოვრებლად მოწყობილი არ იყო, ჩვენ ავაშენეთ დიდი საბჭოთა მეურნეობები — მარცვლეულის, ხორცისა და სხვა პროდუქტების მწარმოებელი შესანიშნავი საწარმოები.

კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა ორგანოებმა რომ უფრო ღრმად იცოდნენ, თუ როგორია საქმის ვითარება ადგილებზე, უკეთ ითვალისწინებდნენ იმ ადამიანთა საარსებო საჭიროებებს, რომლებიც ნებაყოფლობით წავიდნენ ყამირ მიწებზე, დათმეს გარკვეული მოხერხებული პირობები დაგეგმვის მუშაკები მეტ სახსრებს გამონახავდნენ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. **(ტაში).**

ჩვენი სახელმწიფო გეგმებით გამოყოფილია გარკვეული სახსრები სკოლა-ინტერნატების მშენებლობისათვის. სხვადასხვა რაიონისათვის ამ სახსრების განაწილებისას პირველ რიგში ყამირის რაიონების საჭიროებანი უნდა გავითვალისწინოთ. **(ტაში)** რა თქმა უნდა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკებისათვის ძნელი ხდება სახსრების განაწილება, რადგან ყოველი რესპუბლიკა ასაბუთებს თავის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. მაგრამ ასეთი სიძნელეების გადალახვა შეიძლება. ახლად ათვისებული რაიონების საჭიროებანი პირველ რიგში უნდა დავაკმაყოფილოთ. **(ტაში).** აქ უნდა მოხმარდეს სახსრები საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების, სასადილოების, კლუბების, საავადმყოფოების, სამრეცხაოებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა, რომლებიც ადამიანთა ყოფაცხოვრებას ემსახურებიან. მაშინ მთელ შრომისუნარიან მოსახლეობას შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ნაყოფიერ შრომაში.

თუ არ იქნება კლუბები, სკოლები და საავადმყოფოები, ვერ შევქმნით ყამირი მიწების ასათვისებლად მოსულ ადამიანთა ნორმალურ ცხოვრებას. მათ უნდა მივცეთ სულიერი საზრდოც, მათ ესაჭიროებათ ბიბლიოთეკები, კლუბები, თვითმოქმედება, მათ კულტურული პირობები უნდა შევუქმნათ.

ყველაფერი ადამიანს, ყველაფერი ადამიანისათვის! ასეთია პრინციპი, რომლითაც ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს თავის მუშაობაში. პური და ხორცი, რომლებსაც ყამირიდან ვიღებთ, ეს არის პური და ხორცი საბჭოთა ადამიანისათვის. ყოველივე, რითაც მდიდარია ყამირი მიწა, საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის არის! **(ტაში).**

ჩვენ უფლება არა გვაქვს აგდებულად, ბატონკაცურად ვეკიდებოდეთ და არც უნდა ვეკიდებოდეთ ყამირის გმირთა და დამპყრობთა მოთხოვნილებებს. ნამდვილი პარტიული და სამეურნეო მუშაკის სტილს შეადგენს ის, რომ თავის მოქმედებაში უნარიანად ახამებდეს დიდ სამეურნეო გაქანებას ყოფაცხოვრებისადმი მახვილ ყურადღებასთან, ზრუნავდეს ადამიანისათვის. დაე ყამირის მშრომელებმა დღითიდღე და ყოველთვიურად სულ უფრო იგრძნონ ჩვენი საერთო ყურადღება მათი ცხოვრებისადმი, მათი შრომისადმი. **(ტაში).**

* * *

ძვირფასო ამხანაგებო! აქ შეიკრიბნენ და გამოდიოდნენ დიდი საქმის ადამიანები. თათბირზე გამოთქმული წინადადებები, გეგმები, მონახაზები ცხოვრების დაკვირვების, გამოცდილების ნაყოფია, იმის შედეგია, რომ ჩვენს საბჭოთა ადამიანებს უნარი შესწევთ შორს ჰჭვრეტდნენ.

ხატოვნად რომ ვთქვათ, შორს განჭვრეტის ეს უნარი მით უფრო გჩვევიათ თქვენ, ველის მცხოვრებლებს. როგორც ცნობილია, ველზე თუ კარგი ამინდია, თვალი ხედავს ვრცელ მინდვრებს თვით ჰორიზონტამდე. თუმცა თქვენში ახლა ქარახვეტია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ყამირის ველებში კარგი ამინდია, შესანიშნავი განწყობილებაა, თქვენ კარგად ხედავთ იმ ჰორიზონტებს, რომლებიც თქვენს წინაშე გადაშლილია ყამირის ათვისების ახალ ეტაპზე. **(ტაში).**

ამხანაგებო, დიდმნიშვნელოვანია არა ერთეულთა რეკორდები თავისთავად. როცა მოწინავე მეურნეობებზე — შუქურებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს, რომ ჩვენი წინსვლის ყოველი დღის მიხედვით სულ უფრო და უფრო მეტი აინთება შუქურა და სულ უფრო და უფრო ფართოდ განათდება კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის დიადი გზა. **(ტაში).** შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ კეთილშობილური ამოცანის [illegible] ყამირის [illegible] თავიანთ [illegible]ულ წვლილს შეიტანენ.

თქვენ ბევრი იაფი პური მიეცით და კვლავაც მისცემთ ჩვენს ქვეყანას. ხალხმა ამისათვის მადლობა გითხრათ. კვლავაც განაგრძეთ და მეტი აწარმოეთ მარცვლეული, რადგან მარცვლეული, ისევე როგორც ლითონი, ნავთობი, ქვანახშირი, ელექტროენერგია განამტკიცებს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებას, ანადიდებს კომუნისტური მშენებლობის საქმეს. **(ტაში).** აამაღლეთ მიწათმოქმედების კულტურა. მიწა, რომელსაც თქვენ ხნავთ, რომელშიც თესავთ და მოსავალს იღებთ, — ეკუთვნის ხალხს, და ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმუმი ზრუნვა, სიყვარული და პატივისცემა მიწისადმი, რათა მან ერთიასად აანაზღაუროს საბჭოთა ადამიანის შრომა! **(ტაში).**

იბრძოლეთ უხვი და მყარი მოსავლისათვის თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში! საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა წლითიწლობით უმჯობესდება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის მთელი აზრი. ხორბლის, სიმინდის, ჭარხლის, პარკოსანი კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის დიდი მოსავალი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის მზარდი მოთხოვნილებანი. **(ტაში).**

თქვენ ახალი ზღუდე უნდა აიღოთ ყამირის ათვისებაში — უნდა გატეხოთ ხორცის ყამირი! როგორც მილიარდობით ფუთი პური მოგვცა ყამირმა, ისე უნდა მისცეს მან საბჭოთა სახელმწიფოს მილიონობით ტონა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. ამ ახალი შრომითი გმირობისათვის ყველა საბჭოთა ადამიანი დიდ მადლობას გეტყვით. **(ტაში).**

ყამირის ათვისების რაიონებში კომუნისტებისა და კომკავშირელების დიდი რაზმი მუშაობს. მათი მოვალეობაა, ისევე როგორც პირველ წლებში, სათავეში ედგნენ ყამირის ათვისების ახალი ეტაპის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლას. **(ტაში).**

ამხანაგებო! თქვენს თათბირზე გამოვიდნენ აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. პ. კუზმინი, სომეხი მეცნიერი ა. ა. ბაიბურთიანი და სხვა მეცნიერები, აგრეთვე აგრონომები, ზოოტექნიკოსები, წარმოების ნოვატორები. გულისხმიერად უნდა ვუგდებდეთ ყურს მათს ხმას, ვსწავლობდეთ შეძენილ გამოცდილებას და მეცნიერულ აღმოჩენებს, რათა სასოფლო-სამეურნეო წარმოება ყამირ მიწებზე მაღალ დონეზე გვქონდეს, ვიცოდეთ მოწინავე გამოცდილების თეორია. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ყამირის მხარის ყველა მშრომელი ღირსეულად შეასრულებს თავის ვალდებულებებს და შვიდწლედის მესამე წელს დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ, ახალი წარმატებებით შეხვდება პარტიის XXII ყრილობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

მთელი საბჭოთა ხალხი უსურვებს ყამირის მშრომელებს ახალ ძალებს დიდ გამარჯვებათა მოსაპოვებლად შემოქმედებითს შრომაში! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, რომელიც ისტორიაში პირველი კვალავს კომუნიზმის გზას! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“).**

ყამირის მხარის ცენტრი —ცელინოგრადი

ცნობა

ყაზახეთის ჩრდილოეთით მდებარე მსხვილ სამრეწველო ცენტრს აკმოლინსკს — ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ამა წლის 20 მარტს ცელინოგრადი ეწოდა.

ყამირი მხარის ახალი ცენტრი ცელინოგრადი დაარსებულა 1824 წელს მდინარე იშიმის მარჯვენა ნაპირზე, შავმიწანიადაგიანი სტეპის ზონაში, კაზაკების მიერ. ახლადდაარსებულ ციხე-სიმაგრეს 1832 წელს უწოდეს აქ-მოლა, რაც „თეთრ სასაფლაოს“ ნიშნავს. ასეთი სახელი ახალ ციხე-სიმაგრეს იმიტომ უწოდეს, რომ მის გარშემო გაშენებული იყო თეთრი თლილი ქვებისაგან დაგებული სასაფლაო. შემდეგში აკმოლინსკის მოსახლეობა ძირითადად იზრდებოდა რუსეთის ევროპული ნაწილიდან გადმოსახლებული გლეხების ხარჯზე. 1862 წელს აკმოლინსკი გადაიქცა სტეპის გენერალ-საგუბერნატოროს ცენტრად, ხოლო 1868 წლიდან აკმოლინსკი ოლქის ცენტრად იქნა გამოცხადებული. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის აკმოლინსკის მოსახლეობა თითქმის 10 ათას სულს აღწევდა.

რევოლუციამდელი აკმოლინსკი უპირველესად ცნობილი იყო როგორც საგაზაფხულო ბაზრობისა და განსაკუთრებით ცოცხალი პირუტყვით ვაჭრობის ყველაზე დიდი ცენტრი მთელს ჩრდილოეთ ყაზახეთსა და დასავლეთ ციმბირში. მასზე გადიოდა ყაზახეთისა და დასავლეთ ციმბირის შემაერთებელი დიდი საქარავნო გზა. ძველი აკმოლინსკი დიდ სავაჭრო სოფლს წააგავდა.

აკმოლინსკის სამეურნეო ზრდაზე დიდი გავლენა იქონია 1891-1896 წელს რკინიგზის გაყვანამ კარტალიმდე.

ყაზახეთის ძველ ქალაქებს შორის, ალმა-ატას გარდა, აკმოლინსკს პირველი ადგილი უკავია მოსახლეობის ზრდის ტემპებით, ამჟამად აკმოლინსკის მოსახლეობა ასი ათასს უახლოვდება.

ამჟამად ქალაქი ჩრდილო ყაზახეთის მსხვილი სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრია. აქ არის ყაზახეთის სსრ ერთერთი უდიდესი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა („ყაზსელმაში“), აგრეთვე საწარმო ქიმიურ მოწყობილობათა წარმოებისათვის, ვაგონსარემონტო სახელოსნო, ხორცკომბინატი, კარაქისა და ლუდის ქარხნები. ყამირი მიწების ათვისებასთან დაკავშირებით ქალაქში შენდება საშენ მასალათა მსხვილი კომბინატი, ავტომატიზებული წისქვილი, ახალი ხორცკომბინატი და ა. შ. ქალაქში არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რკინიგზის, მანქანათმშენებლობის და კოოპერატიული ტექნიკუმები.

ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1961 წლის 14 მარტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვმა სავსებით სწორად დააყენა საკითხი, რომ ქალაქი აკმოლინსკი უნდა განვითარდეს არა ძველი ქალაქის საფუძველზე, არამედ მის პარალელურად.

ყამირი მიწების მხარის ახალი ცენტრი ცელინოგრადი (ყოფილი აკმოლინსკი) ჩვენი ქვეყნის მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების უდიდესი მწარმოებელი მხარის ახალი, მზარდი სოციალისტური ქალაქია.

გ. ზარდალიშვილი.

СССР
კომუნისტი
მე-2 გვერდი, ოთხშაბათი,
22 მარტი, 1961 წ.

ვამოწმებთ გაზაფხულისათვის მზადყოფნას

რეზერვები ტყვეობაში

ЗАРЯ ВОСТОКА
კომუნისტი
[illegible] მასობრივი [illegible]

ჩაი, სიმინდი და მეცხოველეობა წარმოადგენენ გალის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობის ფულადი შემოსავლისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ძირითად წყაროს. რაიონის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეჩაიეობას. მიუხედავად იმისა, რომ შარშან მეჩაიეთა მაჩვენებლები ცუდი არ იყო, ჩაის ფოთლის, სიმინდის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების გამოუყენებელი რეზერვები რაიონში ცოტა როდია.

შვიდწლედის მეორე წელს გალელმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს ერთ ათასზე მეტი ტონა ზეგეგმითი ნედლეული, მაგრამ საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე რაიონში საგრძნობლად დაბალია, ვიდრე მთლიანად საქართველოში.

რით შეიძლება ეს მდგომარეობა აიხსნას? უწინარეს ყოვლისა შრომის სუსტი ორგანიზაციით, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში დიდძალი ჩაის ფოთოლი იკარგება.

საიდუმლო როდია, რომ როგორც შარშან, ისე წელსაც ჩაის პლანტაციების ნაწილი გაწმენდილი არ არის სარეველებისა და ეკალბარდისაგან, ზოგან ბუჩქებს პირუტყვი ანადგურებს. არის მეჩხერი ჩაის პლანტაციებიც. ცუდი მდგომარეობაა დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის, ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის, რეჩხო-ცხირის წერეთლის სახელობის, ღუმურიშის ფარფალიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობათა ჩაის პლანტაციებში. ჯერ კიდევ არ შესდგომიან თავმინებებული პლანტაციების გაწმენდას სოფელ გუდავის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ ოტობაიას კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" და სოფელ წარჩეს კოლმეურნეობა „კოლხიდაში".

რაიონის კოლმეურნეობებში ცუდად არის ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების საქმე. ვალდებულებით ნაკისრი 302 ჰექტარიდან დღემდე არ დათესილა არც ერთი ჰექტარი. კიდევ მეტი, კოლმეურნეობებში არ მოუმზადებიათ არც ერთი ჰექტარი მიწა ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ რაიონის სოფლებში ახალი აღმავლობა სუფევს. მათ დიდი მონდომებით მოჰკიდეს ხელი სიმინდის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლას. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 2.100 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი მარცვალი, ხოლო დანარჩენ 2.400 ჰექტარზე — 30 ცენტნერი. მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული. უკვე მოახლოვდა თესვის ვადები, კოლმეურნეობებში კი ჯერ ხვნაც არ არის დამთავრებული. განსაკუთრებით ცუდად მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა სოფელ გუდავის წულუკიძის სახელობის (თავმჯდომარე მ. გვარამია), განახლების XX პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე ა. გვახარია), გუდავის გეგეჭკორის სახელობის (თავმჯდომარე ა. გამისონია), ბედიის კოლმეურნეობა „საქართველოში" (თავმჯდომარე ი. სიჭინავა) და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

შემოწმების დღეს რეიდის მონაწილეებმა კოლმეურნეობებში აღმოაჩინეს ოთხი ტრაქტორი, რომლებიც რემონტის მოლოდინში იდგნენ. მაგალითად, იახვარში უხარისხოდ შეკეთებული ტრაქტორი „ბელარუსი" დღემდის უმოქმედოდ დგას სოფელ გუდავის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

რაიონში საკოლმეურნეო წარმოების ყველაზე ჩამორჩენილ დარგად კვლავ რჩება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. წლითიწლობით არ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა, ხოლო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მიმდინარე წლის ორ თვეში ფერმებში დაიხოცა 180-მდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში რაიონის კოლმეურნეობებში მოწველილია 40.000 ლიტრით ნაკლები რძე.

მართალია, პარტიის გალის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი წილი არ სრულდებოდა.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლურიფშში ცხოვრობს და შრომობს ხანდაზმული კოლმეურნე თემურ თარბა. მას კარგად იცნობენ მთელ აფხაზეთში.

იგი ეჯიბრებოდა თავის ოქუმელ მეგობარს ჩოქოლი ქვაჩახიას და წლების განმავლობაში ჰექტარზე იღებდა 1.000 ფუთზე მეტ სიმინდის მარცვალს. სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი ამშვენებს ცნობილი მესიმინდის მკერდს.

მაგრამ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატების თემურ თარბას და მის მეგობართა რეკორდებს გუდაუთის რაიონში ამჟამად იგონებენ, როგორც ძველ ამბავს.

რა მოხდა ლურიფშში და მის მეზობელ სოფლებში? უკანასკნელ წლებში სიმინდს არ აფასებდნენ. მაგრამ მარტო გუდაუთელებმა როდი შეწყვიტეს სიმინდთან მეგობრობა. ამ საქმეში უკეთესი მდგომარეობა არც ოჩამჩირის და გაგრის რაიონებშია.

სამწუხაროა ის მდგომარეობა, რომ აფხაზეთში, მზისა და სითბოს ამ კუთხეში, სადაც წელიწადში შეიძლება სიმინდის ორი მოსავლის მიღება, ამ შესაძლებლობებს არ იყენებენ. კოლმეურნეობებისა და რაიონების ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის შედეგად მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ჩამორჩა. რაიონების ცენტრებში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და აგრონომების თათბირების ხშირი მოწვევით სიმინდს ვერ მოიყვან. ოპერატიული, ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ადგილებზე ნაკლებად ჩანს.

— ამ კარგ დღეებში უფრო ხშირად გვაცდენთ თათბირებზე გამოძახებით, — განაცხადა ამას წინათ საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომში მოწვეულ თათბირზე სოფელ აცის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. აიბამ.

საგაზაფხულო ხვნაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ამ სამი რაიონის კოლმეურნეობები. 10 მარტისათვის გუდაუთის რაიონში მოხნული იყო 1.772 ჰექტარი ნაცვლად 5.526 ჰექტარისა, ოჩამჩირის რაიონში — 3.702 ჰექტარი ნაცვლად 6.774 ჰექტარისა და გაგრის რაიონში — 1.168 ჰექტარი ნაცვლად 3.661 ჰექტარისა.

— მდგომარეობა ჩვენში ცუდი როდია, — კმაყოფილებით ლაპარაკობენ ამ რაიონების ხელმძღვანელები, — შარშან ამ რიცხვისათვის გაცილებით ნაკლები გვქონდა მოხნული.

მაგრამ ამ სიტყვების მიღმა იმალება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებები, მინდვრის სამუშაოებში ჩამორჩენის მიზეზები.

სოფლების კულანურხვის სტალინის სახელობის, პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა მინდვრებზე ტრაქტორები დგანან რემონტის მოლოდინში. სოფელ პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ეზოში ტალახში დგას ერთი ტრაქტორი და იჟანგება. მის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს. ამ კოლმეურნეობის მეორე ტრაქტორი „დტ-54" იანვრიდან რემონტზე დგას გუდაუთის სარემონტო-ტექნიკურ სადგურში. ასეთივე მდგომარეობაა ანუხვის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის, ფსირცხის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით ოჩამჩირისა და გაგრის რაიონებშიც ოჩამჩირის რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს მინდვრის სამუშაოები, ამასთან ერთად აქ არ დაუმთავრებიათ სიმინდის, სოიოსა და ლობიოს სათესლე ფონდის გამოყოფა.

ისევე, როგორც წინა წლებში, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გაგრის რაიონებში მეცხოველეობა საზოგადოებრივი მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ზამთარში შემცირდა წველადობა. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების მეცხოველეობის ფერმებში. მოუვლელობის გამო მარტო ოჩამჩირის რაიონში მიმდინარე წლის ზამთარში დაიხოცა 293 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

თვალსაჩინო ფაქტები აღმოჩნდა სოფელ ფოქვეშის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. გინდია). აქ 1961 წლის პირველი იანვრისათვის ანგარიშში უჩვენეს 187 სულით მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ვიდრე ფაქტიურად ჰყავდათ. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ გუფის კოლმეურნეობა „აფსნში" (თავმჯდომარე ლ. პსარდია), გუდაუთის რაიონის სოფელ ზვანდრიფშის (თავმჯდომარე პ. დარსანია), ხოპის (თავმჯდომარე ნ. ანქვაბი), ბარმიშის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ი. ბენია) კოლმეურნეობებში.

გუდაუთის რაიონში უსაფუძვლოდ გააუქმეს რაიონში არსებული ღორების გასასუქებელი ერთადერთი პუნქტი. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებში ირიცხება მხოლოდ 19 დედაღორი.

ამას წინათ ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს სოხუმის რაიონიდან მწველავებმა სოფიო ავერმა და ელენე ხარსიამ. ვალენტინა გაგანოვას მაგალითისამებრ ისინი სამუშაოდ გადავიდნენ იქ, სადაც მეტი სიძნელეა. მწველავებმა ჩამორჩენილ ამხანაგებს გადასცეს მაღალპროდუქტიული ძროხები, ხოლო თვითონ ხელი მოჰკიდეს დაბალპროდუქტიული პირუტყვის მოვლას. მაგრამ მათი ინიციატივა მეზობელ სოფლებს არ გასცილებია.

აფხაზეთის კოლმეურნეობებში ასევე ნაკლებად ხდება მოწინავე მეჩაიეების, მეთამბაქოეების და მესიმინდეების გამოცდილების განზოგადება. ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ ნაკლოვანებანი და წელს მიაღწიონ უხვი მოსავლის მიღებას.

დათვალიერების მონაწილენი:

გალის რაიონიდან აგრონომები ა. კვარაცხელია, რ. ყოლბაია, ვ. ცანავა, შ. ქობალია, ა. კოლონია; ზოოტექნიკოსები პ. ქურსუა, ა. ქვაჩახია, ც. ბაბალაძე; ვეტფერშლები მ. ბერაია, ნ. შონია; კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრები ტ. კიკორია, ს. კვარაცხელია. ს. ცაცუა; კოლმეურნეები ა. კენჯია, ნ. ჩხორთოლია, შ. ხარჩილავა; გუდაუთის რაიონიდან აგრონომები ვ. ქეცბა, ვ. კუტარბა; სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეები ბ. სიმსიმი, ა. ფილია; კოლმეურნეები ა. აგრბა, ტ. ხეცია; კედლის გაზეთის რედაქტორები ე. ხოჯანაშვილი, პ. ბერზმავა; ოჩამჩირის რაიონიდან აგრონომები ა. კვიწინია, შ. შენგელია; კოლმეურნეები პ. ყურაშვილი, დ. გოგოხია; კედლის გაზეთის რედაქტორები ლ. კაცია, რ. შუბითიძე, ბ. ხელაია; გაგრის რაიონიდან აგრონომები ვ. ბოკუჩავა, პ. ჩარგაზია; ზოოტექნიკოსები გ. კირთაძე, ლ. ლურწკაია; კედლის გაზეთის რედაქტორი ს. კუშავა; კოლმეურნეები პ. კერესელიძე, ე. როლოზენი; გაზეთების „ზარია ვოსტოკას" და „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტები დ. შელია, ი. გოგეჩია. სულ დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა კაცმა.

სოფლის ახალგაზრდობა ეუფლება მეცნიერებას

სტალინირი. (საკ. კორ.). ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დერეფნებსა და აუდიტორიებში. აქ ახლახან გაიხსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი. პირველ სემინარზე, რომელიც ამ დღეებში დაიწყო, საქართველოს რაიონებიდან ასობით სოფლის ახალგაზრდა ჩამოვიდა სტალინირში.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა ეწყობა დაუსწრებელი სწავლების 9 ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ლექციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს აწყობენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები.

ნახავენ, გაიხარებენ

აქ მოეწყობა სახალხო მეურნეობის მიღწევათა მუდმივი გამოფენა

— რაღაც დიდი და საინტერესო მშენებლობა ჩანს! ხომ არ იცით, რას აშენებენ?

— გამოფენა უნდა მოეწყოს, ამბობენ.

— ალბათ საქართველოს ორმოცი წლისთავისთვის?

— მგონი!

ასეთ დიალოგს ხშირად მოისმენთ აკაკი წერეთლის პროსპექტზე ტრამვაით მიმავალი კაცი.

გადავწყვიტეთ ვწვეოდით მშენებლობას და ყველასთვის მოგვეთხრო, თუ რა შენდება და კეთდება აქ, სტანისლავსკისა და სამტრედიის ქუჩებს შორის ბაღნარად ქცეულ სივრცეზე.

ორიოდე წლის წინათ, 1958 წლის შემოდგომაზე, ამ ადგილას მოწყობილი იყო თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავი სამრეწველო გამოფენა. ახლა აქვე აშენებენ და საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავის ზეიმის დღეებისათვის გასახსნელად ამზადებენ უფრო დიდს, უფრო მდიდრულს, უფრო მშვენიერს — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა მუდმივ გამოფენას.

საგამოფენო ტერიტორიაზე ვართ, დიდი მშენებლობის დამახასიათებელი ორომტრიალის მოწმენი. ბულდოზერები ჩუმი გუგუნით დათარეშობენ მათთვის გამოყოფილ ასპარეზზე, მიწის ზვინულებს აგროვებენ თვითსაცლელების დასატვირთავად. იქით მძლავრ ამწეს, რომელსაც ამ მშენებლობაზე გამოჩენილი მექანიზატორი იასონ ფურცელაძე მართავს, უზარმაზარი, ოთხსართულიანი სახლის სიმაღლე მორების ხარიხა მსუბუქად მიაქვს მაღლა საჭიროების მიხედვით გადასაადგილებლად. აქეთ კალატოზები მუშაობენ, გრანიტის ლოდებს თლიან, იქით ელექტროტექნიკოსები საშადრევნე შანდლებზე ელექტროშუქის ეფექტების გამართვას ჩაჰკირკიტებენ, მღებავები საპავილიონე შენობათა კედლებს ღებავენ, დურგლები დურგლობენ, მეარმატურეები არმატურას აწყობენ, თბოტექნიკოსები კონდიციონერების — ხელოვნური ჰავის გამომმუშავებელი დანადგარების დასაყენებელი სარდაფის მშენებლებს ასასხებივით თავს დასდგომიან... ყველა მონდომებით მუშაობს.

არქიტექტორი ვლადიმერ ნასარიძე, გამოფენის მშენებლობის პროექტის ერთ-ერთი ავტორი, ჩვენთან არის და დინჯად მოგვითხრობს:

— გამოფენის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, — ამბობს იგი, — შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ ყველა საგამოფენო პავილიონის საექსპოზიციოდ გამზადება დროულად დამთავრდება.

— წავიდეთ, ყველაფერი თვითონ ნახეთ, მომყევით!

საგამოფენო ტერიტორიაზე მთავარი შესასვლელის მოედანზე ვართ: მხატვრული გემოვნებით აფორმებენ ამ მთავარ შესასვლელს. მარჯვნივ დიდი ეკრანივით ჩანს საგამოფენო ადმინისტრაციული შენობის უკანა კედელი. მალე ამ კედელზე აღიბეჭდება ფერადი კერამიკული ფილებით შესრულებული სურათები რესპუბლიკის ინდუსტრიული ცხოვრების თემატიკაზე. მარცხნივ კინოთეატრის შენობის თეთრი კედელია. ამ კედელზეც ასევე რელიეფურად და ასევე ფერადი კერამიკული ფილებით მოხატავენ ჩვენი მზიური კუთხის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სურათებს.

დამთვალიერებლის წინაშე ბუმბერაზული, ამასთან ჰაეროვანი ახოვნებით გამოჩნდება მაღალი სიმბოლიური მონუმენტი — „გონების აღმაფრენა". იგი გამოსახავს ადამიანის გონების, ფიქრისა და აზრის, შემოქმედების უსაზღვრო შესაძლებლობებს, ოცნების აღმაფრენას, ბუნების საიდუმლოებათა გახსნისათვის, კოსმოსის დაპყრობისათვის ბრძოლაში წარმატებას. ნახავს კაცი ამ სიმბოლიურ მონუმენტს — არქიტექტორ ლევან მამალაძის ნამუშევარს და ნასიამოვნები დარჩება მონუმენტის მოხდენილი პროპორციებით, მკაფიო დინამიკური ფორმებით, საბჭოთა ადამიანის თამამი შემართების ასახვით.

შემდეგ, ჩაივლის თუ არა მიმსვლელი გამოფენის მთავარი ხეივნისაკენ გრანიტის კიბეს, მის წინაშე გადაიშლება მოულოდნელი სანახაობა:

რკინაბეტონის კედლებით შემოზღუდულ, წყლით სავსე აუზში, რომლის ფართობიც 1.500 კვადრატულ მეტრს აჭარბებს, წყლის „სარკეზე" ასახული იქნება ირგვლივ აღმართულ შენობათა სურათები. გაუკვირდება მნახველს შადრევნის ჭავლებზე ცისარტყელას ფერთა თამაში, თუ არ ეცოდინება, რომ ამ ეფექტის შექმნისათვის ელექტროტექნიკოსებმა აუზის ფსკერზე 700 ცალი ელექტროჭაღი დააყენეს.

მომყევით, და ჩვენც მივყვებოდით თავაზიან მხლებელს. უკან მოვიტოვეთ მთავარი პავილიონი, თავის დანიშნულებასთან მშვენივრად შეფარდებული, სადა, უპრეტენზიო, მაგრამ შთამბეჭდავი არქიტექტურული გარეგნობის შენობა.

ხუთიოდე ასეთი ახალი, მართლაც ორიგინალური საგამოფენო პავილიონი დახვდებათ აქ მოსულებს მეორმოცე წლისთავის ზეიმის დღეებში. საგამოფენო ექსპოზიციისათვის დროებით გამოყენებული იქნება თბილისის 1500 წლისთავის დროინდელი საგამოფენო პავილიონების კომპლექსი, ხოლო შემდეგ... შეკითხვებს განმარტებები მოსდევს და შეიძლება თხრობა განვაგრძოთ:

როდესაც არქიტექტორ-ავტორთა ჯგუფი — ლევან მამალაძე, სოლომონ კაციტაძე, ვლადიმერ ნასარიძე, ჯიმშერ პაპინაშვილი, ვახტანგ ფეიქრიშვილი, რაჟდენ ქუბაბრია და თორნიკე ჩხეიძე საიუბილეო გამოფენის პროექტის დამუშავებას შეუდგნენ, მთავარ მიზნად დასახული იყო ისეთი გამოფენის შექმნა და მოწყობა, რომელიც ზედმიწევნით ასახავდა ქართველი ხალხის მიერ განვლილი 40 წლის მანძილზე გაწეულ შრომას, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის გადატანილ ბრძოლებს, კულტურისა და ეკონომიკის ყველა დარგში მოპოვებულ გამარჯვებებს.

ასეთი იყო ამოცანა, მაგრამ ყოველივე ეს უნდა უზრუნველეყოთ უმცირესი ხარჯის გაწევით, მარტივი არქიტექტურული ხერხებით, ისეთი მასობრივი საშენი მასალების პლასტიკურ თვისებათა ოსტატური გამოყენებით, როგორიც არის ბეტონი, ლითონი და მინა.

მიაღწიეს თუ ვერა ამ მიზნებს დამპროექტებლებმა, ჯერ ძნელია თქმა, ის კი შეიძლება ითქვას, რომ მნახველებს უთუოდ მოეწონებათ ეს გამოფენა. იგი დარჩება საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა მუდმივ გამოფენად, მის სტენდებზე მხოლოდ ექსპონატები შეიცვლებიან, დროდადრო მხოლოდ მაჩვენებლებს განაახლებენ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში მოპოვებულ ახალ მიღწევათა შესაბამისად, ხოლო ექსპოზიციის თემატიკა იგივე დარჩება, გამოფენა კვლავ შეასრულებს იმ გიგანტური სარკის როლს, რომელშიც სრული რელიეფურობითა და ნიუანსებით ჰპოვებს ასახვას ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარე.

გადმოგვცეს: ამ გამოფენის მშენებლობა წელს როდი მთავრდებაო. წელს მხოლოდ პირველი რიგის სამუშაოები შესრულდება, რათა საიუბილეო ზეიმის დღეებისათვის მოხერხდეს მისი გახსნა, თორემ გამოფენის მშენებლობის წარმოება სამერმისო საქმეა, სამ ეტაპად ყოფილა გათვალისწინებული.

სადაც არის მშენებლები გამოვლენ პავილიონებიდან, სამუშაო ადგილს სტელაჟების გამმართავებს და მხატვარ-დეკორატორებს დაუთმობენ. შემდეგ კი, როცა საგამოფენო ტერიტორიის ათვისება მთლიანად მოთავდება, სამივე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები დაგვირგვინდება, გამოფენის კომპლექსს შეემატება ბევრი ახალი პავილიონი, ბევრი სანახაობითი ობიექტი. იქნება აქ ყვავილთა სამყაროს „სასახლეც" და ახალი ყაიდის ცირკორამაც, „მინდვრის დედოფლის" — სიმინდის კუთხეც და ღია ესტრადაც, კაფე-რესტორანიცა და სასუვენირო კიოსკებიც, სასაუზმო ფანჩატურებიცა და მყუდრო დასასვენებელი ადგილებიც...

ასეთი დიდი, თბილისელებისათვის განსაკუთრებულად სასიამოვნო საქმე კეთდება დღეს დიდუბეში. ამ საქმის გაკეთებაზე მუშაობენ მშენებელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. მათ შორის არიან მაღალკვალიფიციური დურგლების დომენტი გურგენიძისა და ალექსანდრე აპრესოვის ბრიგადები, მებათქაშე ირაკლი მაზანაშვილის ბრიგადა, საუკეთესო კალატოზები, მეარმატურეები, სამშენებლო საქმის ყველა პროფესიის წარმომადგენლები და მათი ხელმძღვანელი ენთუზიასტი ინჟინრები გურამ კიკალიშვილი, მელორ ცომაია, მალხაზ გომელაური.

სულ მალე აკაკი წერეთლის პროსპექტზე ტრამვაით თუ ავტობუსით მიმავალი კაცი, შესაძლებელია, სულ სხვა, ახალი შინაარსის დიალოგის მოწმე და მონაწილე გახდეს:

— კარგი გამოფენაა, საინტერესო, მრავალფეროვანი...

— კარგადაც მოწყობილი, სწორედ კმაყოფილი დავრჩი!

მოისმენს კაცი ასეთ დიალოგს, და თუ გასაგონად არა, გულში მაინც იტყვის:

— გეთანხმებით!

ზ. ჯამასპიშვილი.
დ. ლომთაძე.

* * *

სურათზე: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა საიუბილეო გამოფენის მთავარ პავილიონთან. (მარცხნიდან) სამუშაოთა მწარმოებელი გ. კიკალიშვილი, სამშენებლო-სამონტაჟო № 2 სამმართველოს უფროსი მ. კიკნაძე, ქვისმთლელების ბრიგადირი ნ. ჩეპკინი და სამონტაჟო სამუშაოს ათისთავი ჯ. ყურაშვილი იხილავენ პავილიონის მთავარი შესასვლელის ნახაზს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

გარდასულ დღეთა ახალი სიცოცხლე

ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში" რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

გამოჩენილ ქართველ ბელეტრისტსა და დრამატურგს სერგო კლდიაშვილს რუსთაველის თეატრთან მრავალი წლის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს. მეოთხედი საუკუნის მანძილზე ამ თეატრის სცენაზე ს. კლდიაშვილის რვა ორიგინალური და ათზე მეტი გადმოქართულებულ-გადმოკეთებული პიესა დაიდგა, ამიტომ სავსებით გასაგებია ის გარემოება, რომ თეატრმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავი სპექტაკლის შექმნისათვის თანამედროვე ქართული მწერლობის სწორედ ეს ღვაწლმოსილი წარმომადგენელი მიიზიდა.

სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე" მაღალი მხატვრული ღირსებების ქმნილებაა. სოციალური ძვრების სიმართლითა და დამაჯერებლობით აღწერამ, ხასიათების ოსტატურმა გამოძერწვამ, ფსიქოლოგიური დასაბუთების სისრულემ, ნათელმა გამჭვირვალე სტილმა ამ ნაწარმოებს სამართლიანად მოუპოვა აღიარება და მაღალი შეფასება. ამასთანავე ამ პროზაულ თხზულებაში თავიდანვე იყო ის ძარღვი, რომელიც მას დრამატურგიულ ფორმასთან აახლოებდა (შეკრული, საინტერესო სიუჟეტი, მძაფრი კონფლიქტი, დრამატიზებული ხასიათები, დახვეწილი დიალოგები). ამიტომ ამ ნაწარმოების პიესად გადაკეთება მოულოდნელი როდია.

„ქარიშხალში" არ არის უბრალო ინსცენირება. ეს არის რომანის სიუჟეტურ ქარგაზე შექმნილი პიესა, გამდიდრებული თავის პირველწყაროსთან შედარებით მთელი რიგი ახალი სურათებით. მართალია პიესას მაინც მოსდგამს ერთგვარი კომპოზიციურ-სტრუქტურული დანაწევრებულობა (რაც საერთოდ ძნელად ასარიდებელია დიდი სიმძაფრის საზოგადოებრივი მოვლენების ფართოდ ჩვენებისას), მაგრამ ავტორმა კარგად შეძლო პაწია პროვინციული ქალაქის და ერთი მეშჩანური ოჯახის ასახვით რევოლუციური ქარიშხლის განზოგადებული სურათის დახატვა.

რევოლუციური ქარტეხილების ზოგიერთი გაიოლებულად წარმომსახველისაგან განსხვავებით, ს. კლდიაშვილი არ ერიდება რევოლუციასმიტმასნილ ადამიანთა მხილებასაც. ასეთებს პიესაში მერაბ თაბაგარი უპირისპირდება. მტკიცე, მომთხოვნი, მკაცრი, მაგრამ გულისხმიერი და ყურადღებიანი ხელმძღვანელი, რომელშიც მტრების მიმართ სიმკაცრე და ულმობელობა შეთავსებულია უბრალო ადამიანების სიყვარულთან. ავტორმა შეძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა არა მარტო წარსულის რევოლუციური ნგრევა, ძველი ყოფისა და ექსპლოატატორული კლასების განადგურება (რაც პიესაში სიმონ ჰაჭიაშვილის ტრაგიკული ხაზის სიმბოლიკაშია მოცემული), არამედ პატიოსან ადამიანთა რევოლუციურ პოზიციებზე გადაყვანა, ამ ადამიანთა იდეური გადაჭედვა, ახალი ცხოვრების შენებაში ჩაბმა (ირინე თუხარელის ოპტიმისტური ხაზის სიმბოლიკა), მოვლენათა ისტორიული განვითარების შესაბამისად პიესის პირველ მოქმედებაში „სიმონის ხაზი" სჭარბობს, მეორეში კი ირინესი.

იდეის მხატვრულ ნათელყოფას და რომლის საშუალებითაც ქართველი ინტელიგენციის პრობლემას ეხმაურება, ვერ არის ისეთი მეტყველი, ცოცხალი და შთამბეჭდავი, როგორც ჩვენ ვისურვებდით; მაგრამ ირინეს ხასიათის სიუჟეტურად ნათელი, ოპტიმისტური აღმასვლა, როგორც პიესაში ნაჩვენები რევოლუციური გარდაქმნების იდეურ-სიუხარელის ოპტიმისტური ხაზის სიმბოლიკა). მოვლენათა ისტორიული განვითარების შესაბამისად, პიესის პირველ

ეს სპექტაკლი რეჟისორ ლ. მირცხულავას სადებიუტო ნამუშევარია. ახალგაზრდა ხელოვანმა რთული ამოცანა დაძლია. ზოგიერთი ხინჯის მიუხედავად, ეს მისი დადგმა, რომელშიც პასუხისმგებლობის გრძნობაც მოჩანს და კარგი რეჟისორული მონაცემებიც, მთლიანად დადებითი შეფასების ღირსია. დამდგმელის პირველი დამსახურება პიესის ხასიათების სწორად გააზრებაში, შესაფერის შემსრულებელთა შერჩევასა და სახეთა სცენური გახსნის სწორად წარმართვაში მდგომარეობს, ხასიათების რეჟისორული ინტერპრეტაცია უმრავლეს შემთხვევაში მართებულია. რეჟისორმა თუმცა მთლიანად ვერ დაიხსნა თავი ზოგიერთი სცენის გაჭიანურებისაგან (სიმონთან ქეიფის ეპიზოდი, სასამართლოს სურათი), ზოგიერთ ფრაგმენტში ნატურალისტური ელემენტის სიჭარბისაგან (სიმონის დებოშისა და ოჯახური სკანდალის სცენა), ხოლო ზოგჯერ ნახმარი დეტალების უნებლიე გამეორებისგანაც, მაგრამ აშკარაა, რომ ლ. მირცხულავას ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა გაუწევია.

შემსრულებელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შესანიშნავი ქართველი მსახიობი ს. ზაქარიაძე, რომელმაც საოცარი ცხოველმყოფელი ძალითა და შთაგონებით გამოძერწა თაღლითი საქმოსნისა და გაიძვერა ადამიანის სიმონ ჰაჭიაშვილის კოლორიტული სახე. შეიძლება მსახიობს ვედავოთ ამ როლის გაგების ზოგიერთ მხარეზე, შეიძლება ვუსაყვედუროთ ის დაუოკებელი, წამლეკი ენებიანობა, რომელიც ჩქმალავს ყველა ირგვლივ მყოფს და შემსრულებელთა ანსამბლიდან მეტისმეტ გამოცალკევებას იწვევს, მაგრამ ერთი უდავოა: ს. ზაქარიაძემ შექმნა ბრწყინვალე, უდიდესი შინაგანი ძალისა და შემოქმედების სცენური სახე, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამ სასიქადულო ხელოვანის დიდ შემოქმედებით პოტენციას.



მიუხედავად იმისა, რომ ს. ზაქარიაძის მიერ შექმნილი სახე არა მარტო მსახიობის შემოქმედებითი გამარჯვება, არამედ ქართული თეატრალური ხელოვნების სასიხარულო ფაქტიც არის, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ ს. ზაქარიაძეს ზოგიერთი რამ. ცნობილია, რომ სცენის ჭეშმარიტი ოსტატები ყოველთვის ისწრაფოდნენ არა მარტო თავიანთი აქტიორული ნიჭისა და ინდივიდუალობის გამომზეურებისაკენ, არამედ პარტნიორთა უფრო გააქტიურებისა და წინ წამოწევისკენაც.

ს. ზაქარიაძის მეტისმეტად დიდი ექსპრესია სიმძიმის ცენტრს თავისკენ ხრის, რის შედეგადაც სპექტაკლში მძლავრობს არა ირინე თუხარელისა და მერაბ თაბაგარის ხაზი (როგორც ეს ავტორს აქვს ჩაფიქრებული), არამედ სიმონ ჰაჭიაშვილისა.

თუმცაღა, პიესის ასეთ იდეურ-სიუჟეტურ წარმართვას მთლიანად ს. ზაქარიაძის აქტიურობას ვერ დავაბრალებთ. წარმოდგენაში სათანადო დრამატურგიული ხასიათების ერთგვარი პასიურობის, რეჟისორული შეცოდებისა და, რაც მთავარია, იმ სცენური სახეების ფერმკრთალობის კვალსაც ვხედავთ, რომელნიც ს. ზაქარიაძის სიმონს უპირისპირდებიან.

ირინე თუხარელი ნაწარმოების სიუჟეტური ღერძია, მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ სიუჟეტური ფუნქცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ხასიათი ნამდვილად მთავარი იყოს. სიუჟეტურ დატვირთვასთან ერთად საჭიროა მხატვრული ხორცშესხმულობა, ძლიერი ექსპრესია, სახის შინაგანი დამაჯერებლობა და მდიდარი ტექსტი იმ იდეის ნათელყოფისათვის, რომლის დასამკვიდრებლადაც არის ეს ხასიათი პიესაში შემოყვანილი. ირინეს სახე, რომელიც დრამატურგიულადაც ძუნწად არის მოხაზული, ძალიან დიდი შინაგანი ძალის, სცენური ექსპრესიის და ოსტატობის მქონე მსახიობს მოითხოვდა.

უდავოდ ნიჭიერი და კარგი სცენური მონაცემების მქონე ზ. კვერენჩხილაძე ამ შემთხვევაში არ აღმოჩნდა იმ სიმაღლეზე, რომელსაც პიესა და სპექტაკლი მოითხოვდნენ. მისი სიმშრალე, შებორკილობა მოდის არა სახის გაგების თავისებურებისაგან, არამედ არასაკმარისი აქტიორული შესრულებისაგან, მხატვრული ინიციატივისა და ფანტაზიის შეზღუდულობისაგან, ორნამენტაციის სიღარიბისაგან. ეს სახე რომ მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო (აქ დრამატურგიულ დახვეწასაც ვგულისხმობთ), სპექტაკლი გაცილებით უფრო დაუახლოვდებოდა ნაწარმოების დედააზრს.

შესანიშნავია გ. სალარაძე გიორგი თუხარელის როლში. ეს სახე მართლაც რომ ნამდვილად ცხოვრობს სცენაზე. ავტორმა საოცარი სიმართლითა და კოლორიტულობით გამოძერწა რევოლუციით დამფრთხალი ქართველი ინტელიგენტი. მაგრამ კეთილშობილება, ინტელექტუალური სიმწიფე და ფხიზელი რეალიზმი, რომელიც იმ ადამიანში ასე თვალნათლივ მოჩანს, იმის საწინდარია, რომ ადრე თუ გვიან იგი აუცილებლად რევოლუციასთან იქნება. გ. სალარაძის გამარჯვება ის არის, რომ მან ყოველივე ეს დიდი ზომიერებით, ლირიკული სითბოთი, შინაგანი დამაჯერებლობით გვაჩვენა და გვაგრძნობინა.

სიმონ ჰაჭიაშვილს პიესაში მერაბ თაბაგარი უპირისპირდება. თუ სიმონი წარსულის სიმბოლური სახეა, მერაბი ნათელი მომავლის, რევოლუციური გადახალისების, ახალი ცხოვრების დამკვიდრების სიმბოლო და განსახიერებაა. იგი ერთი იმათგანია, ვინც თავისი მტკიცე რწმენით და გმირული თავგანწირვით ხალხს თავისუფლება მოუპოვა და ახლა ქვეყნის აღორძინებას მეთაურობს, აქედან ცხადია, რა დიდი შინაგანი ძალისა და ადამიანური მომხიბვლელობისა უნდა იყოს ეს სახე. ნიჭიერმა მსახიობმა გურამ სალარაძემ მართებულად გაუსვა ხაზი მერაბის პოლიტიკურ ალღოს, ორგანიზატორულ ნიჭს, უბრალოებას, ადამიანურ სითბოს. დაძაბული პრაქტიკული საქმიანობა არ კლავს მასში ოცნების უნარს. მაგრამ მსახიობის ცდის მიუხედავად მერაბში მეტ შინაგან ძალას უნდა ვხედავდეთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებდა იგი სიმონის დაჯაბნას და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული იდეური ტენდენციის გაწონასწორებას.

პიესაში მრავალი მეორეხარისხოვანი და ეპიზოდური როლია, მათი უმრავლესობა საინტერესო, მეტყველ, კოლორიტულ სახეებს წარმოადგენს. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ მსახიობი ქ. საკანდელიძე, რომელიც სიმონის „ადიუტანტის" ლენტორის როლში ნამდვილად ქების ღირსია. ეს სახე მას კომედიურად აქვს გახსნილი და ოსტატურად წარმოსახული. კარგად განასახიერებს ილ. საყვარელიძე პროვინციელ მეშჩან ქალს კატოს. მსახიობი მეტყველად უსვამს ხაზს მის ვიწრო ანგარებიან ბუნებას. უაღრესად კოლორიტული და დამაჯერებელი სახე შექმნა მ. ჩიხლაძემ გაკოტრებული და უქნარა თავადის როლში. გულწრფელი, ლირიკულად თბილი და მიმზიდველი ხასიათი გამოძერწა მსახიობმა ჯ. ლალანიძემ აფთიაქარ ბეგლარის როლში. ასევე კარგი და დამაჯერებელია ქარხნის მმართველი ბაზლაძე მსახიობ ნ. მარგველაშვილის შესრულებით. შესანიშნავად წარმოგვიდგინა კ. კავსაძემ პასუხსაგებ თანამდებობაზე შემთხვევით მოხვედრილი ბიუროკრატი და კარიერისტი ხელმძღვანელის ტიპი. მან ერთიორი გავლით, ორიოდე სიტყვით დასრულებული სახე შექმნა. დამამახსოვრებელია მსახიობი ვ. ელოშვილი ფხიზელი და ენერგიული შინსახკომელის როლში. აღნიშვნას საჭიროებენ ეპიზოდური როლების სხვა შემსრულებლებიც ა. კუპრაშვილი, ლ. ფოჩხუა, ოთ. ლომიძე, ელ. სალთხუციშვილი, რ. ჩხაიძე, დ. გაგუა და სხვ.

ეპიზოდურ როლებიდან ცალკე გვინდა შევჩერდეთ კომენდანტ ანიკოს და მენშევიკური გვარდიის ოფიცერ გივი რონინაშვილის სახეებზე. პირველის შემსრულებელი ლ. ღამბაშიძე მახვილ გროტესკს მიმართავს. იგი ხაზს უსვამს ამ შემთხვევით წამოტივტივებული „მოღვაწის" ვულგარიზატორულ ბუნებას. ასეთი პროლეტკულტელი, როგორიც იმ დროს არა ერთი იყო, თავისი გაუთავებელი ლაქლაქით მსმენელს კი არ ამაღლებდა, არამედ უარესად აბნევდა. ხასიათის გახსნის ასეთი გზა სწორად გვეჩვენება, ხოლო შექმნილი სახე საინტერესოდ და ქმედითად. კიდევ უფრო დიდი სიძნელის წინაშე იდგა მსახიობი ნ. ანდღულაძე, რომელსაც საბჭოთა წყობილების დაუძინებელი მტერი უნდა განესახიერებინა. სახის სიმკრთალე და წინააღმდეგობრიობა ართულებს მსახიობის ამოცანას. რონინაშვილი ანდღულაძის შესრულებით ნევრასტენიულ ყმაწვილს უფრო გვაგონებს. ამ სახეს შემდგომი დახვეწა სჭირდება.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო თეატრალურმა მხატვარმა ფ. ლაპიაშვილმა თავი ვერ გაართვა ამოცანას და ვერ შექმნა ამ სპექტაკლის შესაფერისი მხატვრული ფონი.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პიესა „ქარიშხალში" და მის საფუძველზე შექმნილი სპექტაკლი ჩვენი დრამატურგიული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების საინტერესო და მისასალმებელი მოვლენაა.

გიორგი ციციშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ქარიშხალში".

ერთ ეკონომიურ კონფერენციაზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ გაიმართა კონფერენცია მარგანეცის მრეწველობის ეკონომიკის საკითხებზე. მარგანეცის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ზ. პატარიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში", მოსმენილ იქნა ცხრა თანამოხსენება, ტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსმა ვ. ქოიავამ ილაპარაკა საბადოს დამუშავების რაციონალური მეთოდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მათი გავლენის შესახებ. შრომის ორგანიზაციის როლი შრომის ნაყოფიერების ზრდაში — ასეთი იყო მარგანტრესტის შრომის განყოფილების უფროსის დ. გაბუნიას თემა, რაციონალური სამაგრის შერჩევა-გამოყენებას შეეხებოდა მარგანტრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსის გ. წიწილაშვილის თანამოხსენება. შრომატევადი პროცესების მექანიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი ფაქტორია — ამ თემაზე მოახსენა კონფერენციას მოსკოვის ინსტიტუტ „გიპროუგლემაშის" ჭიათურის ფილიალის ინჟინერმა რ. გოგებაშვილმა.

საინტერესო იყო მოხსენებანი წარმოების კულტურის ამაღლებისა და კომპლექსური შრომის ორგანიზაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქენევის მოლაპარაკება

21 მარტს ქენევაში განახლდა სამი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თათბირი ატომგულის გამოცდის აკრძალვის საკითხზე. საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი ამ მოლაპარაკებისადმი სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თერმოატომგულის გამოცდის აკრძალვა იქნებოდა ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრის გზაზე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე შეშფოთებას იწვევს ყველა ქვეყნის ხალხებში.

გავიხსენოთ, რომ ქენევის თათბირი თითქმის ორნახევარი წელიწადია გრძელდება. იგი შეწყდა გასული წლის დეკემბერში დასავლეთის სახელმწიფოთა მიზეზით და უნდა განეახლებინა მუშაობა 7 თებერვალს. თათბირი კიდევ თვენახევრით გადაიდო ამერიკის ახალი მთავრობის შუამდგომლობით, რომელმაც ითხოვა მეტი დრო ამ პრობლემის გასაცნობად.

თავდაპირველად ქენევის მოლაპარაკება საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა, პირველ წელს მონაწილეებმა შეძლეს შეთანხმებულიყვნენ ხელშეკრულების პრეამბულის (შესავალის) და 17 მუხლის შესახებ, შემდეგ დასავლეთის მხარემ დაიწყო სხვადასხვა ხელოვნური დაბრკოლების შექმნა, რის შედეგად მთელი შემდგომი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა შეთანხმება ხელშეკრულების ვერცერთ მუხლზე. მიუხედავად საბჭოთა კავშირის არაერთი დათმობისა, რომელიც ცდილობდა ხელშეკრულების უსწრაფესად დადებას, საქმე ადგილიდან არ იძროდა, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას განსაზღვრავდნენ წრეები, რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებული ამ საკითხის დადებითად გადაჭრით. ეიზენჰაუერის მთავრობას დიდხანს აკრიტიკებდნენ როგორც შეერთებულ შტატებში, ისე საზღვარგარეთ იმისათვის, რომ იგი ფაქტიურად საბოტაჟს უწევდა მოლაპარაკებას იმათ საამებლად, ვინც დაჟინებით მოითხოვდა უსწრაფესად განეახლებინათ ატომგულის იარაღის გამოცდა.

თათბირის მუშაობის ახლანდელ განახლებას წინ უძღვოდა „ინტენსიური" — როგორც მათ ახასიათებდა ამერიკის პრესა — კონსულტაციები და შეთანხმება სხვადასხვა დეპარტამენტს შორის ვაშინგტონში, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენელთა მოლაპარაკება. ოპტიმისტებს (რომელთა რიცხვს ჩვენც ვეკუთვნით) სურთ იმედი იქონიონ, რომ ეს მეცადინეობა მიმართული იყო იმისაკენ, რომ გაადვილდეს შეთანხმების მიღწევა, რომ ატომური აფეთქებანი არასოდეს არ სწამლავდნენ ატმოსფეროს, მოლაპარაკების ასეთ შედეგს როდი უწყობენ ხელს დასავლეთის ის წრეები და პრესის ორგანოები, რომლებიც კვლავ მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცალმხრივ დათმობებს, თუმცა მათ იციან, რომ საბჭოთა მხარეს წარსულში არაერთხელ დაუკმაყოფილებია დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნები ბევრ საკითხში, რომლებიც დაკავშირებულია ატომგულის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების შემუშავებასთან.

ქენევის მოლაპარაკების განახლების წინ ამერიკის პრესაში გამოთქვამდნენ სხვადასხვა ვარაუდს, აკეთებდნენ სხვადასხვა პროგნოზს. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ერთ-ერთი ვაშინგტონელი კორესპონდენტი, მაგალითად, გასულ კვირაში წერდა, რომ „შეერთებული შტატების პოზიცია ძირითადად ისეთივე რჩება, როგორც იყო ეიზენჰაუერის მთავრობის დროს", გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი" ამ დღეებში მოაგონებდა მკითხველს, რომ ატომური იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ განახლების მომხრენი უკმაყოფილო არიან გამოცდის ახლანდელი ნებაყოფლობითი მორატორიუმით, რომ ისინი მოუთმენლობას იჩენენ და ეცდებიან გავლენა მოახდინონ ქენევის მოლაპარაკების მსვლელობაზე. ამასთან ამერიკის პრესაში დაიბეჭდა აგრეთვე ცნობები, რომ ამერიკის ახალი წარმომადგენელნი შეეცდებიან აჩვენონ „ახალი მიდგომა" და სურვილი მიღწეული იქნეს ურთიერთ მისაღები მოწესრიგება ქენევაში.

ასე თუ ისე, არ არის საჭირო, რა თქმა უნდა, ვიმკითხაოთ თემაზე იმის შესახებ, თუ რა ძვრები მოხდა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციაში, რამდენადაც ეს საკითხი უახლოეს დროში გამოირკვევა. აშკარაა ერთი რამ: ქენევაში უნდა განახლდეს მოლაპარაკება, რომლის წარმატებით დამთავრებას შეუძლია არა თუ იხსნას კაცობრიობა აფეთქებებისაგან, რომლებიც სწამლავენ დედამიწის ატმოსფეროს, არამედ აგრეთვე დააჩქაროს განიარაღების პრობლემის — ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრა. სწორედ ეს განსაზღვრავს საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას ამ მოლაპარაკებისადმი, რომელსაც იგი უსურვებს სრულ და სწრაფ წარმატებას.

ი. ორლოვი,
საკდესის მიმომხილველი,

შუბი ხალთაში არ დაიმალება

თელ-ავივი, 21 მარტი, (საკდესი). ისრაელის მთავრობამ არაოფიციალურად აცნობა კანცლერ ადენაუერს, რომ სურს თავიდან აიცილოს ისრაელისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის შესაძლო გაუარესება, რაც შეიძლება მოხდეს სამხედრო დამნაშავის ეიხმანის სასამართლო პროცესის გამო, იუწყება გაზეთი „მაარივი".

აღნიშნავს რა, რომ ადენაუერს აშინებს დასავლეთ გერმანიისადმი ანტიპატიის ზრდა ეიხმანის პროცესთან დაკავშირებით, გაზეთი იუწყება, რომ ისრაელმა რამდენადმე შეძლო ამ შიშის გაფანტვა. ადენაუერს აღუთქვეს, რომ ეიხმანის გასამართლება მოეწყობა ისე, რომ არ გამოიწვიოს ისრაელისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუარესება. ამ მიზნით ეიხმანს ჩვენებებს მილიონობით ებრაელის დახოცვის შესახებ მოსთხოვენ ისეთი ფორმით, რომ იგი დაასახელებს მხოლოდ რამდენიმე გერმანელ სამხედრო დამნაშავეს, რომლებიც დღემდე უცნობი არიან.

დაფარონ ჰიტლერელი მკვლელები, რომლებმაც მოსპეს მილიონობით ებრაელი — აი რისთვის ზრუნავენ გავლენიანი წრეები ისრაელსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ზოგს ეშინია დაკარგოს მოგება, რასაც მოელის დასავლეთ გერმანიასთან სავაჭრო გარიგებებისაგან, სხვებს ეშინია იმის, რომ ჰიტლერელი ჯალათის ჩვენებანი ამხილებენ ბევრ სამხედრო დამნაშავეს, რომლებსაც ამჟამად ხელმძღვანელი პოსტი უკავიათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆

ამერიკის ხომალდები ბეირუთში

ბეირუთი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს დილით ბეირუთის ნავსადგურში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ფლაგმანი კრეისერი „სპრინგფილდი", რომელზეც არის ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ანდერსონი. მე-6 ფლოტის დანარჩენ ხომალდებს ხვალ და ზეგ მოელიან.

შეიქმნა კონგოს ეროვნული ავიაკომპანია

კაირო, 20 მარტი. (საკდესი). როგორც კონგოს რესპუბლიკის კაიროს დიპლომატიური მისია იუწყება, კონგოს რესპუბლიკის დროებით დედაქალაქ სტენლივილში 18 მარტს შეიქმნა კონგოს ავიასატრანსპორტო კომპანია. იგი შეიქმნა ანტუან გიზენგას კანონიერი მთავრობის გადაწყვეტილებით საერთაშორისო წესების გათვალისწინებით.

ამ ავიაკომპანიას ერქმევა — „კომპანი დე ტრასპორტ აერიენ კომგოლეზ" — შემოკლებით ტაკო.

დღემდე საჰაერო მიმოსვლა კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის ხელის შეწყობით ბელგიის ავიაკომპანია „საბენას" მონოპოლია იყო.

იაპონია იწყებს რაკეტების წარმოებას

ტოკიო, 20 მარტი. (საკდესი). იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოაწყოს „ჰაერ-ჰაერის" კლასის იაპონური „მაიტი მაუსის" რაკეტების მასობრივი წარმოება. 1962 წელს იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალები აღიჭურვება 20 ათასამდე ასეთი რაკეტით.

გაზაფხულდა თბილისში...

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა და ბ. დადვაძისა,

საქართველოს მოჭადრაკეები მოსკოვში

მოსკოვი. 21 მარტი. აქ მეორე დღეა გრძელდება სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს გუნდური პირველობა ჭადრაკში. პირველ ტურში საქართველოს მოჭადრაკეთა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში არიან ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი, მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე და სხვ. დაამარცხა თურქმენეთის გუნდი ანგარიშით 4,5:1,5.

მეორე ტურში, რომელიც დღეს გაიმართა, საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდნენ მოსკოვის გუნდს. ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა ნორჩმა მოჭადრაკემ რ. ხუხუნაშვილმა. ე. მიქაელიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ოსტატ ი. ესტრინთან. სამაგიეროდ დანარჩენ შეხვედრებში მოსკოველებმა უპირატესობას მიაღწიეს, ბ. გურგენიძე დამარცხდა ტ. პეტროსიანთან, ზ. მესროპოვი — ს. ფლორთან, ა. გაგუა — ა. ხასინთან, ო. ალიხანოვი — ტ. პროხოროვიჩთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ხვალ საქართველოს გუნდი შეხვდება ლენინგრადელ მოჭადრაკეებს.

ვინ მოიგო „ვოლგა", „მოსკვიჩი", საცხოვრებელი სახლი...

გურჯაანი. (საკ. კორ.). გუშინ გურჯაანის სარაიონო კულტურის სახლში დამთავრდა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა.

გამოვლინდა ყველა „იღბლიანი" ბილეთი. ავტომანქანა „ვოლგა" ხვდათ 61316 სერიის 240 ნომერ ბილეთს, 61374 სერიის 241 ნომერს, 62427 სერიის 232 ნომერს, 62729 სერიის 248 ნომერს; სამოთახიანი საცხოვრებელი სახლი — 62282 სერიის 215 ნომერს, 65884 სერიის 095 ნომერს, 66639 სერიის 210 ნომერს; ავტომანქანა „მოსკვიჩი" — 60081 სერიის 083 ნომერს, 62767 — სერიის 140 ნომერს, 63335 სერიის 003 ნომერს, 63542 სერიის 141 ნომერს, 64291 სერიის 026 ნომერს, 66302 სერიის 200 ნომერს, 67091 სერიის 188 ნომერს, 67635 სერიის 014 ნომერს, 68336 სერიის 134 ნომერს,

საერთაშორისო ცხოვრება
დეპეშები ცნობები მიმოხილვა

მსოფლიო იმედით მოელის ქენევის თათბირს

კონტრრევოლუცია ამზადებს კუბაში შეჭრას

იაპონიას ექნება 20.000 რაკეტა

მოღალატენი ჩქარობენ

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). მომზადებულია კუბის მთავრობის დამხობის შეიარაღებული ცდის სამხედრო გეგმები, წერს ამერიკის ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი". გადაწყვეტილება კონტრრევოლუციის დაწყების თარიღის შესახებ, — შენიშნავს ჟურნალი, — ახლა დამოკიდებულია მთელ რიგ პოლიტიკურ და სამხედრო ფაქტორებზე. მაგრამ ყველა ნიშანი იმას მოწმობს, რომ კონტრრევოლუციის წარმატებისათვის იგი მალე უნდა დაიწყოს". 13 მარტს მაიამიდან „საწვრთნელ ბანაკში სადღაც კარიბის ზღვაში" გაემგზავრა 243 კონტრრევოლუციონერი, იმავე დღეს მოელოდნენ კიდევ 500 კაცის გაგზავნას.

კონტრრევოლუციონერებს, წერს ჟურნალი, ამჟამად აქვთ ამერიკული წარმოების ბომბდამშენები „ბ-26" და სატრანსპორტო თვითმფრინავები „ს-54", ბომბდამშენები კონტრრევოლუციონერებს ესკამბრაის მთებში აწვდიან იარაღს. გარდა ამისა, იარაღს კონტრრევოლუციონერებს აწვდიან ზღვითაც.

შეთქმულთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაგრძობს ჟურნალი, საჭიროდ მიაჩნიათ უახლოეს დროში დაარტყან კუბის მთავრობას, რადგან კუბის მთავრობის პოზიცია სულ უფრო მტკიცდება, ხოლო კონტრრევოლუციონერთა მდგომარეობა ესკამბრაის მთებში სწრაფად უარესდება,

ახალი საფრთხე

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა სარიტ ტანარატმა გუშინ მოუწოდა გააფართოონ სეატოს შეიარაღებული ინტერვენცია ლაოსში. მიმართა რა ჟურნალისტებს, იუწყება ბანგკოკიდან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, ტანარატმა თქვა: „პირადად მე მიმაჩნია, რომ მდგომარეობა ლაოსში შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ იქ სეატოს ჯარების გაგზავნის გზით",

სამგლოვიარო დღე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში გენერალური ასამბლეის მე-15 სესიის დღევანდელი პლენარული სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე უეცრად გარდაიცვალა კუბის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მანუელ ბისბე. გენერალური ასამბლეის სესიის თავმჯდომარემ ბოლენდმა დელეგატებს აცნობა ეს სამწუხარო ამბავი და წინადადება მისცა ერთი წუთის დუმილით პატივი ეცათ მანუელ ბისბეს ხსოვნისათვის.

გადაწყდა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა გლოვის ნიშნად გადაიტანონ ხვალისათვის,

ტაილანდის ჯარები ლაოსში

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, ლაოსში ამასწინანდელი ბრძოლების შედეგად დაჭრილია 40-მდე ტაილანდელი ჯარისკაცი და ოფიცერი,

დაულინგი იმუქრება

ჰანოი, 21 მარტი, (საკდესი). სეატოს სამხედრო მრჩეველთა თათბირს, რომელიც ბანგკოკში იხსნება, თან ახლავს თავაწყვეტილი ანტიკომუნისტური ისტერია და მუქარა ლაოსის კანონიერი მთავრობის მიმართ.

როგორც იუწყებიან, ავსტრალიის წარმომადგენელმა სეატოში ადმირალმა დაულინგმა განაცხადა, რომ ავსტრალიის შეიარაღებული ძალები მზად არიან ყოველ წუთს წავიდნენ ლაოსში. „თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, თქვა მან, — ავსტრალიის ჯარები დაუყოვნებლივ გაიგზავნებიან ლაოსში",

ჰუმანური აქტი

ფხენიანი, 20 მარტი, (საკდესი). კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სამხრეთ კორეის დაშეული გლეხებისათვის დახმარების გაწევის მიზნით დღეს მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადასცეს მათ 100 ათასი სეკი გაწმენდილი ბრინჯი (სეკი უდრის 180,4 ლიტრს).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, თავის მაღალ მოვალეობად მიაჩნია მატერიალური დახმარება გაუწიოს უსურსათოდ დარჩენილ სამხრეთ კორეის გლეხებს და გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ღონისძიება, რომელიც ნაკარნახევია თანამემამულეებისადმი სიყვარულის გრძნობით, მალე განხორციელდება.

მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სამხრეთ კორეის ხელისუფალთა მონაცემების მიხედვით, 1961 წლის იანვარში სამხრეთ კორეაში იყო გლეხთა 1 მილიონზე მეტი ოჯახი, რომლებიც უსურსათოდ დარჩნენ, და რომ ამ უკანასკნელ ხანს მათი რიცხვი კვლავ იზრდება,

იშვიათი შემთხვევა მეცხოველეობის ფერმაში

ულიანოვსკი, 17 მარტი. (საკდესი). იშვიათი შემთხვევა მოხდა ნოვო-სპასკოეს ბესტუჟევის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის სარძევე-სასაქონლო ფერმაში. ძროხამ, რომელსაც „ოცნებას" უწოდებენ, მოიგო სამი ხბო — ორი უშობელი და ერთი მოზვერი, რომელთა წონაა 19, 22 და 23 კილოგრამი. ტყუპები კარგად ვითარდებიან. მათ უვლის კოლმეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეხბორე ანტონინა ივანეს ასული შმალკო,

სასამართლო დარბაზიდან

პატიმრობა დაუდევრობისათვის

მოსკოვი. (საკდესი). მოსკოვის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ განიხილა ტალდომის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კომსომოლსკის" ყოფილი ხელმძღვანელების — დირექტორ ა. გ. მიქაელიანისა და მთავარი ზოოტექნიკოსის კ. კ. ნომეროვანის დანაშაულებრივი დაუდევრობის საქმე. მათი დანაშაულით 1960 წელს საბჭოთა მეურნეობაში დაიხოცა 2.182 ღორი — მთელი სულადობის ერთი მესამედი. სახელმწიფოს მიყენებული აქვს 26.727 მანეთი ზარალი. (ახალი ფულით).

დირექტორმა არ იზრუნა საღორეების დროული რემონტისათვის. ეს სამუშაო დამთავრდა მხოლოდ ოქტომბერსა და ნოემბერში. აქამდე ცხოველთა ძირითადი მასა საზაფხულო ბანაკებში ჰყავდათ და მოუწყობელ სათავსებში.

უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ღორის საკვებით უზრუნველყოფის საქმესაც ყოფილი დირექტორი. ამის შედეგად დაიწყო ღორის მასობრივი სიკვდილიანობა.

მიქაელიანის მსგავსი აღმოჩნდა ბრალდებული ნომეროვანიც. მთავარმა ზოოტექნიკოსმა არაფერი არ იღონა ღორის სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად.

რუსეთის სფსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 172 მუხლის საფუძველზე სასამართლომ ა. გ. მიქაელიანსა და კ. კ. ნომეროვანს მიუსაჯა ერთი წლის გამასწორებელი მუშაობა.

ლაოსი. პატეტ-ლაოს საბრძოლო ნაწილების ქვეგანაყოფი.

ფოტო ცენტრალბილდისა,

ექს-ჩემპიონის მარცხი

ტალი 2 ბოტვინიკი მატჩ-რევანში

ამ დღეებში ჭადრაკის მოყვარულები სწავლობენ ახალ საჭადრაკო მისამართს: ბერსენევის სანაპირო, ესტრადის თეატრი. აქედან საუცხოო ხედია მდინარე მოსკოვზე. დარბაზი ძალიან მყუდრო და მოხერხებულია მაყურებლებისათვის, მატჩის მონაწილეთათვის კი — იდეალური. თუ მ. ბოტვინიკს შარშან სამდურავი ჰქონდა პუშკინის სახელობის თეატრის მიმართ — შეხუთული ჰაერისათვის, ამჯერად ფართო ესტრადაზე შეუძლია სუფთა ჰაერი ისუნთქოს. ზოგჯერ სასიამოვნო ნიავიც კი ჰქრის. მ. ტალიც კი, ერთადერთი კაცი, რომელსაც უფლება აქვს თამბაქოს ბოლით გააფუჭოს ჰაერი, არ აკეთებს ამას: მსოფლიოს ჩემპიონი ერთხანს ძლიერ ეწეოდა თამბაქოს, მაგრამ პირველი სამი პარტიის დროს თითქმის არ მოუწევია (იქნებ ჯერ ნაკლებად ღელავდა?!). ერთადერთი კაცი, რომელიც უკმაყოფილოა თამაშისათვის არჩეული ბინით, შეიძლება ითქვას, მატჩის მთავარი არბიტრი გ. შტალბერგია. შვეციის გროსმაისტერი სიამოვნებით იგონებს ბოტვინიკ-სმისლოვის მატჩს, რომელიც სასტუმრო „სოვეტსკაიაში" გაიმართა. საქმე ის არის, რომ ეს სასტუმრო დოღის ახლოს მდებარეობს. სანამ ბოტვინიკი და სმისლოვი სვლაზე ფიქრობდნენ, შტალბერგმა მოასწრო ერთი საათით დოღზე წასულიყო.

სცენაზეა იგივე ელექტროსაათი, რომელზეც წითელი ნათურა აენთება მკაცრი ცაიტნოტის დროს, როცა წამებიღაა დარჩენილი. ჯერჯერობით ასეთი „ხანძარი" არც ტალსა ჰქონია და არც ბოტვინიკს. სცენაზე იგივე პირები არიან, რომლებიც შარშან პუშკინის სახელობის თეატრში იყვნენ. ბოტვინიკს ჯერჯერობით სეკუნდანტი არა ჰყავს. კარგია ეს თუ ცუდი? ბოტვინიკმა თქვა, რომ უსეკუნდანტოდ დაიწყებს, მერე კი ვნახოთო. პირველ და მესამე პარტიაში სეკუნდანტი ტალს უფრო სჭირდებოდა, მართალია ფრიად არასასიამოვნო ფუნქციისათვის. მეორე პარტიაში სეკუნდანტი ზედმეტი არ იქნებოდა ბოტვინიკისათვის. ადვილი შესაძლებელია, რომ გადადებული პოზიცია ყოველ შემთხვევაში წაგებული იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელი იყო ყველასათვის, რომ გადადებულ პარტიაში ბოტვინიკმა მხოლოდ ოთხი სვლა გაძლო. ბოტვინიკის ანალიზის ხელოვნებიდან ამჯერად აბსოლუტურად არაფერი არ ჩანდა.

როგორც ცნობილია, მატჩამდე ბოტვინიკი ს. ფურმანთან ვარჯიშობდა. ლენინგრადელი ოსტატი პირველ პარტიას არ დასწრებია, მეორე პარტიაზე პრესბიუროში იყო. „თქვენ კორესპონდენტი ხართ, სიომა?" — „არა". — ბოტვინიკის მწვრთნელი ხართ?" — „არა". „მაშ რა როლს ასრულებთ ამ მატჩ-რევანშში"? — ვკითხეთ ფურმანს. — „მე კონსულტანტი ვარ", — გვიპასუხა ლენინგრადელმა ოსტატმა. მაგრამ, სცენაზე ერთი სავარძელი ბოტვინიკის სეკუნდანტისათვის ჯერჯერობით თავისუფალია და ტალის სეკუნდანტი — ა. კობლენცი — მოწყენილია, ვინაიდან მას უფლება აქვს მხოლოდ ბოტვინიკის სეკუნდანტს ესაუბრებოდეს. ხუთ საათს დუმილი კი სასიამოვნო როდია!

ტალი ამბობს, რომ „მთელი რიგა" განაწყენებულია, მატჩ-რევანში მარტო მოსკოვში რომ უნდა გათამაშდეს. რიგელებს უნდოდათ ნახევარი შეჯიბრება მაინც ენახათ, მაგრამ ბოტვინიკი წინააღმდეგი იყო. მიშა ტალი ამბობს, რომ რიგიდან უამრავი ხალხი ჩამოვა. მატჩ-რევანშზე მალე გამოჩნდება ტალის უველაზე ახალგაზრდა „გულშემატკივარი" მსოფლიოს ჩემპიონის შვილი.

რა შეიძლება ითქვას პირველი სამი პარტიის, სტარტის შესახებ? მ. ეივეზე, პ. კერესზე პირველმა ორმა პარტიამ ძლიერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. პირველ პარტიაში ვიხილეთ თითქმის „ახალგაზრდა" ბოტვინიკი და სამაგიეროდ „დაბერებული" ტალი, რომელმაც ისიც კი მოახერხა, რომ ცაიტნოტში მოექცა. მეორე შეხვედრაში ვნახეთ სურათი, რომელიც ხშირი იყო შარშან: მოდუნებული, გაუბედავი ბოტვინიკი, ისეთი ბოტვინიკი, რომელმაც ვერ სძლია ორ მოწინააღმდეგეს: ვერც ტალს და ვერც ჭადრაკის საათს. ტალმა გააკეთა ყველაფერი, რაც მას მოეთხოვებოდა. იგი ოდნავ უტევდა, ცაიტნოტში მოაქცია „მოხუცი" და ანგარიში გაათანაბრა, რითაც თავი დაიმშვიდა, დაამშვიდა კობლენცი და თავისი მრავალი გულშემატკივარი.

რაც შეეხება მესამე პარტიას — იგი იყო ექს-ჩემპიონის ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლა. მ. ტალმა ვერ იქნა და ვერ დააღწია თავი მეტოქის მარწუხებს და ბოლოს, გადადებული პარტიის დამთავრების დღეს იძულებული იყო ფარხმალი დაეყარა. ჩვენ კვლავ ვიხილეთ „ახალგაზრდა", ენერგიით სავსე მ. ბოტვინიკი.

შეიძლება თუ არა გავაკეთოთ დასკვნა, ან პროგნოზი პირველი სამი პარტიის შემდეგ? ჯერ კიდევ ნაადრევია მსჯელობა იმაზე თუ ვინ გაიმარჯვებს, ვის დარჩება მსოფლიოს ჩემპიონობა. მაგრამ ჯერჯერობით, როგორც მორალური, ისე ქულობრივი უპირატესობა ბოტვინიკის მხარეზეა. ტალმა სამ პარტიაში ვერ მიიღო შესაძლებლობა „მთელ საჭადრაკო დაფაზე ეცეკვა", როგორც მას უყვარს. ორი მიხეილის შემოქმედებითი დავა გრძელდებოდა კარო-კანისა და ნიმცოვიჩის დებიუტში.

ვერც ტალს, ვერც ბოტვინიკს ვერ მოვთხოვთ, რომ მათ ერთბაშად გვიჩვენონ მთელი ბრწყინვალებით თავიანთი ოსტატობა. წარმოებს „დაზვერვა", წარმოებს მხოლოდ ძალების მოკრება, უეჭველია, რომ ჭადრაკის დევგმირები მალე მთელი ძალით დაიწყებენ თამაშს.

თბილისიდან მომდის ბევრი წერილი, ბევრი შეკითხვა, ხშირად მეკითხებიან: „გვითხარით „რა სარფა აქვთ" ტალსა და ბოტვინიკს, ზედიზედ ორ თვეს ერთმანეთი რომ უნდა სტანჯონ? როგორია მსოფლიო პირველობის მატჩების პირობები?" პირობები შემდეგია: ფიდეს წესების თანახმად გამარჯვებული მიიღებს 5 ათას დოლარს, დამარცხებული — 3 ათას დოლარს. წინათ ეს დაახლოებით 20 ათასი და 12 ათასი მანეთი იყო. ახლა, როცა ჩვენში შემოღებულია მანეთის ახალი კურსი, გამარჯვებული მიიღებს 4.500 მანეთს და დამარცხებული — 2.700 მანეთს. ამ ანგარიშით ტალმა და ბოტვინიკმა უკვე უზრუნველყვეს თავიანთი „გამარჯვება" შარშანდელთან შედარებით.

მაგრამ მერწმუნეთ, რომ ტალი და ბოტვინიკი ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ საპრიზო ფონდზე, ფულზე. ბრძოლა წარმოებს წოდებისათვის, ვინაიდან რა შეიძლება იყოს მოჭადრაკისათვის უფრო მიმზიდველი, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონის წოდება.

სტარტი აღებულია! მატჩი საკმაოდ „მხიარულად" დაიწყო, მაგრამ მაინც ნამდვილად ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ნამდვილი „მხიარულება" ჯერ კიდევ წინ არის.

სალო ფლორი.
მოსკოვი, 21 მარტი.

მ. ტალის მეორე დამარცხება

მოსკოვი. 21 მარტი. (ტელეფონით). დღეს მ. ტალმა თამაშის განუახლებლად დათმო მატჩ-რევანშის მესამე პარტია. ანგარიში გახდა 2:1 ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ.

უკვე შეიძლება ლაპარაკი ამ ორთაბრძოლის ზოგიერთ თავისებურებაზე. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მისი დიდი შედეგიანობა. სამ პარტიაში არ ყოფილა არც ერთი ყაიმი. კარგა ხანია ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე ასე მწვავე არ ყოფილა. შარშან 21 პარტიიდან მ. ბოტვინიკმა მხოლოდ ორი მოიგო, ახლა კი უკვე „მოასწრო" ამდენივე პარტიის მოგება სამი შეხვედრიდან.

ჯერ კიდევ მატჩ-რევანშის დაწყებამდე გროსმაისტერმა ა. კოტოვმა მოახდინა საინტერესო დაკვირვება. მან აღნიშნა, რომ ბოტვინიკი ყოველთვის ბრწყინვალედ თამაშობდა მაშინ, როდესაც მას ბრძოლა უხდებოდა მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ასე იყო 1948 წელს, როდესაც ბოტვინიკმა გაიმარჯვა ხუთი უძლიერესი გროსმაისტერის მატჩ-ტურნირში. იგივე განმეორდა 1958 წელს სმისლოვთან მატჩ-რევანშის დროს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ბოტვინიკს უხდებოდა თავის წოდების დაცვა, იგი ბევრად უფრო სუსტად თამაშობდა.

ეს თვისება მარტო ბოტვინიკისათვის როდია დამახასიათებელი, იგივე შეიძლება ითქვას სხვა გამოჩენილ მოჭადრაკეებზე. გავიხსენოთ მატჩები მსოფლიო პირველობაზე ალიოხინსა და ეივეს, აგრეთვე სმისლოვსა და ბოტვინიკს შორის, ტალიც შარშან ბევრად უფრო ენერგიულად იბრძოდა, რაც წელს არ შეიმჩნევა.

ხვალ გაიმართება მორიგი მეოთხე პარტია. თეთრებით ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

22 მარტი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — გორდა (მე-15 აბონ. მე-5 წარმ.), რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია, მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი,

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ზღაპრების სკივრი" და „ცეროდენას ეკრანი", 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — რეპორტაჟი ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკვლევი ინსტიტუტიდან, 19.20 — კინოჟურნალი, 19.30—გადაცემა „თბილისის საპროექტო ინსტიტუტის ახალგაზრდები", 19.45 — გადაცემა — „პოლიფონიური მუსიკის მამამთავარი ი. ს. ბახი", 20.35 — ახალი ამბები, 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი — „ფრთხილად, ბებია!",

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-08, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-50, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-78-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 00966

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.